№17 (7030) 25 ოქტომბერი,
შაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

პრემიერ მინისტრი სამეგრელოში–ხობში

„ჩვენ გვინდა თავისუფალი მოქალაქეების თავისუფალი საქართველო“

17 ოქტომბერს განსაკუთრებული მოლოდინი იყო ხობში, ხობელი საზოგადოება საპატიო სტუმარს–საქართველოს პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ელოდა. ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს თან ახლდნენ: სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით დანელია, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია, სახელმწიფო რწმუნებული, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

პრემიერ მინისტრმა ხობში არსებული სასათბურე მეურნეობა დაათვალიერა.

სასათბურე მეურნეობა „თაღლაურა“ ნახევარ ჰექტარ ფართობზეა გაშენებული და აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სარწყავი სისტემით. საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის მოცულობა 1 მილიონ ლარს შეადგენს.

გარდა ხობისა, პრემიერ მინისტრი მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ზუგდიდსა და სენაკს სტუმრობდა, სადაც მნიშვნელოვანი მშენებარე თუ არსებული ობიექტები დაათვალიერა.

–ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია მიტოვებული ქარხნების აღდგენა, გადაიარაღება. თანამედროვე ქარხნებისა და საწარმოების გახსნა ხელს შეუწყობს დასაქმებას, ფერმერების მოტივაცია და ეკონომიკა გაიზრდება, რაც ასევე მნიშვნელოვანია. საწარმო მუშაობს ISO სერთიფიკატის მოპოვებაზე.–განაცხადა პრემიერ მინისტრმა.

ამ დღეს სენაკში 26 წლიანი პაუზის შემდეგ „ეგრისობის“ მივიწყებული დღესასწაული პირველად გაიმართა. ღონისძიება ნოქალაქევის არქიტექტურულ–არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის (ციხე გოჯის) ტერიტორიაზე ჩატარდა. დღესასწაულს უამრავი ხალხი ესწრებოდა. პრემიერ მინისტრმა „ეგრისობის“ დღესასწაულის დაწყებამდე ნოქალაქევში, ციხე-გოჯის ტერიტორიაზე მოწყობილი გამოფენა დაათვალიერა.

პრემიერმა დამსწრე საზოგადოებას „ეგრისობა“ მიულოცა და მის სიმბოლურ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა, რომ საქართველოს გამთლიანებას საზოგადოებას ნოქალაქევიდან მიულოცავს. აქვე დასძინა, რომ „ეგრისობა“ ამიერიდან ყოველწლიურად აღინიშნება.

–ჩვენი მიზანი საქართველოს გამთლიანება, გაძლიერება, ჩვენი მოსახლეობის კეთილდღეობაა. ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ ძლიერი, ევროპული ტიპის სახელმწიფო. ჩვენი ხალხი იმსახურებს, რომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთო ევროპულ ოჯახში. ჩვენი მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რომ თითოეულ მოქალაქეს შეუქმნას ღირსეული ცხოვრებისა და განვითარების პირობები. მართალია, თითოეულ ჩვენთაგანს ეჩქარება შედეგი, მაგრამ ყველა პროცესს დრო სჭირდება,–განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ახალ საწარმოებზე

ისაუბრა. ყურადღება რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე გაამახვილა.

–კეთილმოწყობილი გზები და ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და უფრო მეტ სტუმარს მოიზიდავს. ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სამეგრელოს ტურისტული პოტენციალი. ეს გააჩენს სამუშაო ადგილებს და ჩვენს ხალხს დამატებით შემოსავალს მოუტანს. ჩვენს ხელშია ჩვენი ქვეყნის მომავალი. მხოლოდ მთავრობა მთელი ხალხის გასაკეთებელს ვერ გააკეთებს. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ერთად ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო. ჩვენ ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გვერგო. იყო დაძაბული რეგიონი და ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ მოსახლეობას დავუბრუნეთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ძალადობრივად წართმეული თავისუფლება. ჩვენ გვინდა თავისუფალი მოქალაქეების თავისუფალი საქართველო. ჩვენს წინაშე კიდევ ბევრი გამოწვევაა. კრიტიკულ მომენტში მოგვიწია ქვეყნის მართვა, მაგრამ კონსტრუქციული პოლიტიკით გადავლახეთ ბარიერები ისე, რომ არ დავარღვიეთ ჩვენი მოსახლეობის მშვიდობა და სტაბილურობა,–განაცხადა პრემიერმა.

„ეგრისობაზე“ სამეგრელო-ზემო სვანეთის 9 მუნიციპალიტეტმა საკუთარი კუთხეებისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფია და სამზარეულო წარმოაჩინა. მათ შორის იყო ხობის მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი კუთხე, რომელსაც პრემიერ-მინისტრმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო, ინტერესით დაათვალიერა სახალხო რეწვის ნიმუშები და დააგემოვნა სამზარეულო.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მიერ მოწყობილ გამოფენაზე პრემიერის და საერთოდ, საზოგადოების დიდი ყურადღების გამო, შემდეგში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა **ედიშერ ჯობავამ** აღნიშნა,–დღეს ამაყი ვარ „ჩვენი კუთხის“ ესტეტიკური და ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების მიზნობრივად წარმოჩენის გამო. ეს არის დარგის მესვეურების დიდი გამარჯვება. უდიდესი სიამოვნება მივიღე, სამადლობელი არ მელევა დარგის ხელმძღვანელების, ორგანიზატორებისა და შემსრულებლების მისამართით.

დღესასწაულს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია, რეგიონში ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მუნიციპალიტეტის საზოგადოების წარმომადგენლები.

სამეგრელოს რეგიონში პრემიერის სტუმრობა და „ეგრისობის“ დღესასწაული საზოგადოებას დიდხანს ემახსოვრება.

ნანა კემულარია.

მოლოცვა

ჩვენი მუნიციპალიტეტის საამაყო შვილს, ქველმოქმედს,სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს, ღირსეულ ქართველს ბატონ გოდერძი ბუკიას ვულოცავთ დაბადების დღეს!

მრავალი დღე გაგთენებოდეთ ჯანმრთელს, ბედნიერს და მუდამ ახალი იდეებით აღსავსეს. დაუღალავი შრომითა და კეთილი გულით თქვენ ბევრი საშვილიშვილო საქმე აკეთეთ, რისთვისაც მადლობას გადაგიხდით. მუდამ გვყოლოდეთ ხობელებს იმედად.

პატარა მაქსიმეს და ნინას უკიდეგანო სიყვარულში ტკბილად დაგვიბერდით. ყველასთვის მისაბაძ და სანიმუშო შვილების აღმზრდელს და ასევე, უკეთილშობილესი ქალბატონის მანანა კვირიკაშვილის მეუღლეს თამამად გეთქმით: ბედნიერება სხვა არაფერია, თუ არა მათ გვერდით ყოფნა.

ღმერთმა მუდამ ბედნიერი გამყოფოთ, არ მოგკლებოდეთ გამძლეობა და მხნეობა.

პატივისცემით ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო.

დაიჯესტი

საქართველოს პრეზიდენტს ქვეყნის პირველ ლედისთან ერთად იაპონიის იმპერატორმა უმასპინძლა



გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრა იაპონიის იმპერატორ აკიჰიტოსთან. იმპერატორი და მისი მეუღლე ქვეყნის პირველ პირსა და პირველ ლედის პირადად დახვდნენ და მათ საკუთარ სასახლეში უმასპინძლეს.

გიორგი მარგველაშვილთან და მაკა ჩიჩუასთან შეხვედრამ დახურულ კარს მიღმა, იაპონური ტრადიციებისა და ეტიკეტის სრული დაცვით ჩაიარა.

იმპერატორი აკიჰიტო იაპონიის 125-ე იმპერატორია. იგი ერთადერთი მონარქი მმართველია, რომელსაც იმპერატორის ტიტული აქვს და ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა.

საქართველოს-პრემიერ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მოგოსვლა კონფერენციაზე_,,ღია მმართველობის პარტნიორობა“

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) გამოჩენილი ნდობისთვის– საქართველოს მთავრობა შემდგომი ორი წლით OGP–ის საკოორდინაციო კომიტეტისწევრი გახდა.

„ჩვენი მიზანია, გავხდეთ კიდევ უფრო ღია ჩვენი მოქალაქეებისათვის, მეტად ანგარიშვალდებული მათ წინაშე და უფრო მეტი და ფართო უფლებამოსილება მივანიჭოთ მათ. ჩვენს ქვეყანას აქვს ყველაზე ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო შესყიდვების, საჯარო ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებასა და სახელმწიფო მომსახურების მიწოდებას,“–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას.

პრემიერის გამოსვლას გამოეხმაურა კონფერენციის მოდერატორი, OGP-ს თანათავმჯდომარე რაკეშ რაჯანი.

„დიდი მადლობა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს. როდესაც გისმენდით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამ საქმიანობას უკვე 10 წელია ეწევით. იმიტომ, რომ თქვენ საოცრად დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებთ, საიდანაც ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ. ასე რომ, დიდი მადლობა ჩვენი ასეთი შთაგონებისთვის,“-განაცხადა რაკეშ რაჯანმა.

სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია

ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე უწყებათაშორისი საბჭოს მთავარი მიღწევაა, რომ საკითხი მაღალ სახელმწიფოებრივ დონეზეა აყვანილი.

მინისტრის თქმით, უახლოეს დღეებში წარდგენილი იქნება განახლებული სტრატეგიის საწყისი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც შემუშავდება კომპლექსური მიდგომებიც.

„ძალადობა, მათ შორის ოჯახური ან ნებისმიერი სხვა სახის, ყველა ქვეყნისთვის მეტ-ნაკლები პარამეტრებით საერთო პრობლემაა. შესაბამისად, ამ მიმართულებით ანატომია ძალიან კარგადაა შესწავლილი, ისევე როგორც მათი მართვის გზები. ამ მართვის ინსტრუმენტების ინტეგრაცია, კონკრეტულ ქვეყანაში დანერგვა კონკრეტულ საქმიანობას და მაღალი დონის კომუნიკაციას საჭიროებს, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო და საზოგადოების წარმომადგენლებს შორის. დღევანდელი შეხვედრის მთავარი ლაიტმოტივი იყო ის, რომ გაძლიერდეს კოორდინაცია იმ მიმართულებების, რომელზეც სახელმწიფო უწყებები აქამდეც მუშაობდნენ. სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს განახლებული სტრატეგიის საწყის დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც იქნება კომპლექსური მიდგომა. ეს არ მოიცავს მხოლოდ სოციალური მუშაკების როლის გაძლიერებას, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რეგულაციების და პოლიციის ჩართულობის დონის გაზრდა. ეს იქნება სრული სისტემური, კომპლექსური სტრატეგიული გეგმა, რომელსაც საზოგადოებას გავაცნობთ და ვფიქრობ, მისი დანერგვა ეფექტური იქნება ზიანების შესამცირებლად“-განაცხადა სერგეენკომ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

სახალხო დღესასწაული „ეგრისობა“

17 ოქტომბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევში დიდი ხნის მივიწყებული სახალხო დღესასწაული „ეგრისობა“ აღინიშნა. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრობდა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დღესასწაული, რომლის სიმბოლურ მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ საქართველოს გამთლიანებას მოსახლეობას ნოქალაქევიდან მიულოცავს.

„ეგრისობაზე“ სამეგრელოზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებმა საკუთარი კუთხეებისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფია და სამზარეულო წარმოაჩინეს. მათ შორის იყო ხობის მუნიციპალიტეტის მრავალფეროვანი კუთხე, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პრემიერ-მინისტრმა, დაათვალიერა სახალხო რეწვის ნიმუშები და დააგემოვნა სამზარეულო. დღესასწაულს ესწრებოდნენსაქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი გოდერძი ბუკია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები.

ხელისუფლება დაპირებების ეტაპობრივად შესრულებას იწყებს

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპის ქალების საერთო მომავლისთვის“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლად თემთა განვითარების სააგენტო“ (ხელმძღვანელი როსტომ გამისონია) ერთობლივად ახორციელებენ პროექტს „შავი ზღვის დაბინძურების შემცირება, ნარჩენების მდგრადი მართვის სისტემების გამოყენება“.

ამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ხობის მუნიციპალიტეტის ორ ადმინისტრაციულ ერთეულში, შუა ხორგასა და ჭალადიდში, სანიტარული სისტემის გაუმჯობესებისთვის, სოფელში არსებული მცენარეული და ცხოველური ნარჩენების გამოყენების პრინციპების შემუშავება.

პროექტი ითვალისწინებს 4 ეკო ტუალეტისა და ოჯახებისთვის საკომპოსტე ორმოების მოწყობას.

აღნიშნული პროექტის ერთერთი მნიშვნელოვანი პროგრამაა საბავშვო ბაღებში სანიტარული მდგომარეობების გაუმჯობესება. საბავშვო ბაგა-ბაღებში არსებული მდგომარეობების გაუმჯობესება და ხელშეწყობა, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისთვისაც ერთერთი პრიორიტეტია.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში შუა ხორგის საბავშვო ბაღში დაიდგა მზის სისტემის წყლის გამაცხელებელი, რითაც მოგვარდა ბაღის დიდი ხნის პრობლემა, რომელიც შუა ხორგის მაჟორიტარი დეპუტატის ედიშერ ჯობავას საარჩევნო პროგრამის ნაწილი იყო. ამჟამად ბაღი უზრუნველყოფილია როგორც ცივი, ასევე ცხელი წყლის მოხმარების შესაძლებლობით.

ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, მუნიციპალიტეტის დანარჩენ ადმინისტრაციული ერთეულების ბაგა-ბაღებში ეტაპობრივად გაგრძელდება მსგავსი ხასიათის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ დასრულდა

20 ოქტომბერს ხობის კულტურის სასახლეში ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის? ფინალური შეხვედრა გაიმართა, რომელშიც შემდეგი გუნდები მონაწილეობდნენ: ხობის „ლაზიერი“, ახალი ხიბულის „ჰელადოსი“, ქვემო ქვალონის „ჭყონდიდელი“, ხამისქურის „ჯიხა“ და პირველი ხორგის „ლაზარე“. საინტერესო და „დაძაბულ შეჯიბრში გაიმარჯვა ხამისქურის „ჯიხამ“, მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ ახალი ხიბულის „ჰელადოსი“ და ქვემო ქვალონის „ჭყონდიდელი“.

გამარჯვებულებს პრიზები და სიგელები გადასცეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ და გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ.

ღონისძიება გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, შუა ხორგისა და ბიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ ქალბატონებს, რომლებიც საკუთარ ყანებში მოსავალს იღებდნენ, სოფლად მცხოვრები ქალების საერთაშორისო დღე მიულოცა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მათ ბარაქიან წელთა სიმრავლე უსურვა და სიმბოლურად „ბარაქის“ ღვთისმშობლის ხატები გადასცა.

მონიტორინგი ხობის №2 საბავშვო ბაღში

13 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დ. გაბუნია, საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია და ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გ. სიჭინავა მონიტორინგის მიზნით იმყოფებოდნენ ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღში.

დათვალიერებისას გამოვლინდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. კერძოდ წყლის სისტემის მოწესრიგება და ფანჯრების გამოცვლის აუცილებლობა.

არსებული პრობლემების მოგვარებაში ბაღის ადმინისტრაციას დახმარება აღუთქვეს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეებმა, რაზედაც ინფორმაცია ოპერატიულად მიეწოდება მუნიციპალიტეტის გამგეობას.

ხობი შესაძლებელია რეგიონის სპორტულ ცენტრად გადავაქციოთ

გოჩა ქაჯაია–დაიბადა 1946 წლის 28 თებერვალს, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში.

დაამთავრა ქ. კალინინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით.

2002 წელს აირჩიეს სოფელ საჯიჯაოს საკრებულოს თავმჯდომარედ, სადაც 2006 წლამდე უფლებამოსილების ამოწურვამდე მუშაობდა. 2006 წელს აირჩიეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. 2006-2012 წწ-ში იყო საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ხოლო 2012-2013 წლებში–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე.

2013 წლის 26 აგვისტოს დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად.

2014 წლის ივნისიდან არჩეულია ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სხვა გაზეთებიდან

სამეგრელო-ზემო სვანეთის ულამაზესი რაიონის, კოლხეთის დაბლობის ცენტრში მდებარე ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 676 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ძირითად რესურსს წარმოადგენს მიწა. ხობის მუნიციპალიტეტი თავისი განვითარებით აგრარული რაიონია. ტერიტორიის 44%-ს, ანუ 29942ჰა-ს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს. სავარგულების 45%, ანუ 13515 ჰა სახნავი მიწებია, საძოვარი- 12588-ჰა, სათიბი-11 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები-3828 ჰა. გარდა იმისა, რომ ხობი კულტურული ღირსშესანიშნაობებითაც თავს იწონებს, რაიონი ასევე მდიდარია ჰიდრორესურსებით, მუნიციპალიტეტი უხვად არის დაქსელილი მიწისზედა და შიდა წყლებით.

რამდენად სრულად ხდება ხობის რესურსის ათვისება, როგორ ცხოვრობენ ადგილობრივები, რა გეგმები აქვს რაიონის ახლადარჩეულ ხელმძღვანელობას, ამაზე „რეგიონის ტრიბუნასთან“ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი გოჩა ქაჯაია საუბრობს.

2014წლის ადგილობრის არჩევნებზე ხობის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ნდობა გამგებლის თანამდებობაზე სწორედ მას გამოუცხადა.

გოჩა ქაჯაია რაიონში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე გულისწყვეტით გვესაუბრება და მოსახლეობას რაიონში არსებული პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას ჰპირდება.

გოჩა ქაჯაია: ხობის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ანალოგიურია სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობისა. ათწლეულების განმავლობაში ყურადღებამიუქცეველი ობიექტები ეტაპობრივად დგება მწყობრში, რაც მნიშვნელოვნად გააქტიურდა უკანასკნელ წლებში. მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის აუცილებელ სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ვერ ვახორციელებთ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არაერთი ობიექტი მოწესრიგდა, ესენია: ადგილობრივი გზები, ტროტუარები, გზის სავალი ნაწილი, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ხიდები და ხიდ-ბოგირები, სანიაღვრე არხები, მოსაცდელები, სპორტული მოედნები, სოფლის კლუბები, საბავშვო ბაღები და მრავალი ობიექტი. ამდენად, ინფრასტრუქტურა დღითი-დღე უნჯობესდება და უახლოეს პერიოდში ეკონომიკურ შედეგებსაც მოგვცემს.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის კუთხით ძირითად პრობლემას წარმოადგენს დასაქმების საკითხი. დასაქმებისა და სოციალური დახმარების თხოვნით, გამგეობაში ათასობით განცხადება შემოდის. თავისთავად, ადგილობრივ ბიუჯეტს მათი დიდი ნაწილის დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ გააჩნია და შერჩევა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. ჩვენი მთავარი მიზანია, ხელი შევუწყოთ დასაქმების და საერთოდ, სოციალური პრობლემის აღმოფხვრას, რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ძვრებია მოსალოდნელი და არაერთი წინადადებაა მიღებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო ინვესტიციების შემოდინებისა და სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელების თაობაზე.

საინტერესოა რა გაკეთდა ხობში გამგებლად თქვენი მოსვლის შემდეგ და რა კონკრეტული პროექტებია სამომავლოდ განსახორციელებელი?

–პირველ რიგში, როგორც უკვე ვისაუბრე, მკაფიოდ გამოიკვეთა დაინტერესება კერძო სექტორის მხრიდან ახალი და ფართო მასშტაბების პროექტების განსახორციელებლად, რაც გასულ წლებში თითქმის წარმოუდგენელი იყო. მსგავსი საქმიანობა და ინიციატივები ფაქტობრივად ჩამკვდარი იყო. განსახვავებით წინა ხელისუფლებისა, საქმე კეთდება ზედმეტი აჟიოტაჟისა და რეკლამირების გარეშე და ამას მოსახლეობა უშუალოდ იგრძნობს და გაიგებს.

უკვე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არაერთი სასათბურე მეურნეობის მოწყობა, თაბაშირ-მუყაოს ქარხნის, თხილის ქარხნის, კომბინირებული საკვების გადამამუშავებელი ქარხნის, სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მწარმოებელი საწარმოს მშენებლობა. ასევე, კივისა და სხვა ხილის შემნახველი მაცივრების მშენებლობის შემოთავაზება გვაქვს. მუშაობა კიდევ უფრო მეტად უნდა გავააქტიუროთ, რათა მუნიციპალიტეტში ეკონომიკური საქმიანობისთვის ხელშემწყობი გარემო შევქმნათ, ეტაპობრივად აღმოვფხვრათ დასაქმების პრობლემა და მოსახლეობას საარსებო წყაროს გამოუჩნდეს.

რაც შეეხება უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელ პროექტებს–არაერთი პროექტი განხორციელდა და დღესაც გრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამითა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.

ერთ-ერთ პრიორიტეტად ვსახავთ მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციას-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია სპორტული ინფრასტრუქტურის არაერთი ობიექტიბ რომელიც ათწლეულების განმავლობაში გაძარცვული იყოძ ესენია: საცურაო კომპლექსიბ საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ცენტრალური სტადიონიბ სპორტ-დარბაზიბ სატრენაჟორო დარბაზიბ საუნაბ საჩოგბურთო კორტები, ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამდენი სახის სპორტული ობიექტი არც ერთ მეზობელ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, და ასევე იმას, რომ ხობი გეოგრაფიულად რეგიონის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული, მათი აღდგენის შემთხვევაში ხობი შესაძლებელია, ხობი რეგიონის სპორტულ ცენტრად გადავაქციოთ, ამ ობიექტებიდან მარტო საცურაო კომპლექსის აღდგენაც კი უდიდეს ეფექტს მოგვცემს, სრულიად რეალურია ასევე აღნიშნული სპორტული ინფრასტრუქტურის ბაზაზებ ოლიმპიური მომზადების ცენტრის შექმნა და ყოფილი ოლიმპიური მომზადების, ხობის სპორტული სკოლა-ინტერნატის მსგავსადბ სპორტსმენთა ახალი თაობის პროფესიონალურად აღზრდაზე ზრუნვა.

ამ მიზნებისთვის გამგეობაში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მიერ შემუშავდა და საკრებულომ მოიწონა „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების პროგრამა (კონცეფცია)“. მასში დეტალურად არის აღწერილი და გაანალიზებული მუნიციპალიტეტში სპორტისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნებიბ შესაძლებლობები, გზები, დაფინანსების წყაროები და წინადადებები ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლო შეღავათებსა და ხელშემწყობ პირობებზე. პროექტით, ასევე დაინტერესდა სახელმწიფო ხელისუფლებაც და ძალისხმევას არ მოვაკლებთ საკითხის ბოლომდე მისაყვანად, ყოველივე სავსებით რეალურია.

შემოთავაზებები გვაქვს მიღებული ასევე სხვადასხვა მსხვილი კომპანიის მხრიდან, რაც ეკონომიკურ გარემოს ერთი-ორად გააუმჯობესებს. დამეთანხმებით, ამ დონის აქტივობა გასულ წლებში დაუჯერებელიც იყო...

ბოლო დროს სტიქიამ განსაკუთრებით შემოუტია დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ხობის რაიონსაც, რამდენად სერიოზულია ზარალი ამ მხრივ და რა კეთდება ხობის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან კრიზისის დასაძლევად?

–დასავლეთ საქართველოში სერიოზული ზარალია სტიქიური მოვლენების შედეგად და მათ შორის, გარკვეულწილად ხობის მუნიციპალიტეტშიც. წინა წლებისგან განსხვავებით, ზარალი უფრო ქალაქში შეინიშნება რადგან ბოლომდე არ არის მოწესრიგებული წყალსაწრეტი და სანიაღვრე არხები. ხანგრძლივმა და გადაუღებელმა წვიმებმა შენობების პრობლემები წარმოაჩინა, მათ შორის საბავშვო ბაღების ძველი და სარეაბილიტაციო სახურავების გამოცვლის აუცილებლობის კუთხით. რაც შეეხება სოფლებს, არის სერიოზული საშიშროება მდინარეების კალაპოტებიდან გადმოსვლისა. დღეის მდგომარეობით, მდინარეების დონე კრიტიკულ ზღვარსაა მიღწეული და მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასაცავად უკვე გარკვეული სახის ღონისძიებები გატარდა, მათ შორის, მდინარე რიონზე მოწყობილ წყალგამყოფ კვანძზე შლუზების გახსნისა და წყლის მასის ზღვისაკენ გადამისამართების სახით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალდიდობის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოს მიერ უკანასკნელ ორ წელიწადში განხორციელებულმა სამელიორაციო სამუშაოებმა, რისი მეშვეობითაც, მოვარდნილმა წყალმა რეაბილიტირებულ არხებში იპოვა მიმართულება და მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები დატბორვისაგან იხსნა.

მუნიციპალიტეტში შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი ოპერატიული ცენტრი და ყველა უწყება სათანადოდ არის მომზადებული სტიქიური ზიანის მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად.

გაზეთი „რეგიონის ტრიბუნა“

ნაცნობი-უცნობი

რუბრიკის სტუმარია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, პარტია „თავისუფალი დემოკრატების" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნუგზარ შუშანია.

დაიბადა 1986 წლის 8 ენკენისთვეს...

დაამთავრა ხობის არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „არეა", შემდეგ სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა...

ჰყავს მეუღლე–სოფიო ჩიქოვანი და შვილი–მარიამ შუშანია. თუ როგორ მოვიდა პოლიტიკაში, რა გზა გამოიარა საკრებულოში მოსახვედრად, ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

„თუ საქართველო ვერ ვიხილე თავისუფალი, მაშ, მტვრადქცეული მე მენახოს მთელი სამყარო..."

რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკაში მოსვლა?

–გარემო პირობებმა და ქვეყნის სამსახურში ყოფნის სურვილმა. ალბათ, ყველას გვახსოვს წინა ხელისუფლების პირობებში არსებული გაუსაძლისი ყოფა, დემოკრატიის სახელს მიღმა ამოფარებული მოძალადე ჩინოვნიკები, სისხლიანი 7 ნოემბერი, 26 მაისი, გირგვლიანი, ქიმერიძე, ვაზაგაშვილი... ათასობით ღირსებაშელახული ქართველი, უმსგავსობა, დაშინებული და შეურაცხყოფილი მოსახლეობა, ანტიეროვნული რეფორმები, ეს ყველაფერი უარყოფითად დაილექა ჩემში და შინაგანი პროტესტი გამოიწვია. ვიცოდი, მე ერთი, სისტემას ვერ შევცვლიდი, თუმცა ყველგან, იქ, სადაც საჭიროდ ჩავთვალე ჩემი პროტესტის ხმამაღლა დაფიქსირება, მივედი და დავაფიქსირე... ყველა მშვიდობიან მიტინგზე წინა ფლანგზე ვიდექი, არასდროს არაფრის არ შემშინებია, დარბევებიც გადავიტანე, პოლიტიკური დევნაც... თუმცა პოლიტიკაში მოსვლა მიზანი არ ყოფილა, ეს ისე მოხდა, უნებურად.

ფიქრობ, პოლიტიკაში მოსვლით რამე შეიცვალა?

–ბევრი რამ შეიცვალა. გამიჭირდება ბანალური სიტყვებით გადმოცემა, თუმცა კიდევ ბევრი რამ შესაცვლელია, რაც ვფიქრობ, ეტაპობრივად მოხდება... შეიცვალა ის, რომ დღეს მოქალაქეებსა და პირტიტველა ბიჭებს ქუჩაში არ ხოცავენ, ნარკოტიკებს ჯიბეში ახალგაზრდებს არ „უტენიან", არის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სასამართლო გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, არ არსებობს ე.წ. შავი სია, ხორციელდება საზოგადო პროექტები.

ხარ თუ არა მიზანმიმართული?

–ზომიერად, თუმცა გააჩნია მიზანს, ის, რაც გულით მინატრია და რაზეც მიოცნებია, რა თქმა უნდა, თუ ეს მიზნები და ოცნებები რეალობასთან ახლოს ყოფილა, ამსრულებია კიდეც, ოღონდ ბრძოლისა და შრომის შედეგად, რადგან „შრომაა უდიდესი სიქველე ამქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე".

მიზნისკენ მიმართული გზის გასავლელად უკან არაფერზე დაიხევთ?

–არის რაღაცეები, რასაც ყველამ პატივი უნდა სცეს. შესაბამისად, მიზნის მისაღწევად ღირებულება და ღირსება არასოდეს დამვიწყებია და არც „ჩემი ხალხისთვის მიღალატია". კეთილსინდისიერების ფარგლებში ყველაფერი უნდა გააკეთოს კაცმა.

რა მოუტანა თქვენი აზრით ხალხს 2012 წლის პირველმა ოქტომბერმა?

–ის რეალობა, რომელშიც ახლა არსებობა და ცხოვრება გვიწევს, ალბათ ყველას ახსოვს წინა ხელისუფლების პირობებში გაუსაძლისი ყოფა, დამამცირებელი და მარაზმული განწყობა და დამოკიდებულება საკუთარი ხალხის მიმართ. იმ ყველაფრის მერე მგონია, უხერხულია ვერ იგრძნო განსხვავება წინა ხელისუფლებასა და მოქმედ ხელისუფლებას შორის.

2014 წელს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შედეგად საკრებულოს წევრი გახდი , მეტიც, ამჟამად საპროცედურო-სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ხარ, რას იტყოდი ამასთან დაკავშირებით, და რას ფიქრობ, რა შეცვალა ხობში ადგილობრივმა არჩევნებმა?

–ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, ყველანი ერთად ვხედავთ იმ პროგრესსა და წინსვლას, რაც მუნიციპალიტეტმა განიცადა. დღევანდელი ხობის საკრებულო და თითოეული წევრი ხალხთან, მოსახლეობასთან ურთიერთობს, მაქსიმალურად ვცდილობთ წინა ხელისუფლების დანერგილი მანკიერი მხარეები ამოვძირკვოთ და ყველა პრობლემა უმოკლეს დროში მოვაგვაროთ.

რა არის შენთვის მნიშვნელოვანი, თავისუფლება თუ უსაფრთხოება?

–ერთი მეორეს არ გამორიცხავს, თავისუფლების ხარჯზე მიღწეულ უსაფრთხოებას არაფერი შეედრება...

შენთვის, როგორც პიროვნებისთვის, სად მთავრდება თავისუფლება?

–იქ, სადაც სიცოცხლე მთავრდება... მგონია, ეს ის ცნებაა, რომელიც ყველას გასისხლხორცებული უნდა ჰქონდეს. არ მესმის და ვერც ვერასოდეს გავიგებ მართული ადამიანების ბუნებას. ალბათ ისევ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება სხვას მოუსმინო, მისი აზრი გაითვალისწინო, მაგრამ მასზე დამოკიდებული არ უნდა გახდე.

ყველაზე დიდი სიხარული?

–„თუ საქართველო ვერ ვიხილე თავისუფალი, მაშ მტვრადქცეული მე მენახოს მთელი სამყარო", სამშობლოა ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული და ჩემი შვილი- მარიამი...

ყველაზე დიდი სევდა?

–სამშობლოს დაკარგული ტერიტორიები, მამის გარდაცვალება - მოუშუშებელი ტკივილი... დეპრესიული არ ვარ, მაგრამ ზოგჯერ მორალური კრიზისი მაქვს, ხშირად არ ვაძლევ საკუთარ თავს იმის საშუალებას, რომ მწუხარებას მივეცე, თუმცა არის ის გარდამავალი ცხოვრებისეული ეპიზოდები, როდესაც სევდა მიპყრობს... სევდა ყველაფერზე და ამავდროულად არაფერზე...

როგორია მშიშარა კაცი?

–მხდალი, უსუსური არსება. ის, ვინც დღეში სამჯერ კვდება, ამასთან დაკავშირებით დიდი ოთარ ჭილაძის სიტყვები მახსენდება „მშიშარა კაცი დღეში სამჯერ კვდება. ვანო მასწავლებელისა არ იყოს, სრულებითაც არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ჰიტლერმა გაგაიფსილონოს, შეგიძლია, თვითონ იქცე იფსილონად, სხვების დაუხმარებლადაც. დღეს შიშს შეჭამ, ხვალ სიმართლეს დამარხავ, ზეგ შენთვის უცნობ ადამიანს დაასმენ, მასზეგ ლექსებს დაუხევ მოწაფეს და გათავდა, მეტი კი არაფერია იფსილონობა".

რა არის ის, რაც გულით გინდა და ჯერ ვერ გააკეთე?

–გასაჯაროებისგან თავს შევიკავებ, რადგან მგონია მალე გავაკეთებ...

ესაუბრა
ნინო გერგაია

ინფორმაციები

მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები იწყება

14 ოქტომბერს, ქ. ხობში ბიზნეს ცენტრის შენობაში, ხობის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საყოველაო აღწერასთან დაკავშირებით ხუთდღიანი ტრენინგი დაიწყო. ტრენინგი ინსტრუქტორ-კონტროლიორებს უტარდებათ (ტრენერი ნათია დიღმელაშვილი).

აღწერის ჩატარების მიზანია სოციალურ ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მიღება და ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის შესახებ ძირითადი მაჩვენებლის მიღება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია გაიაროს აღწერა. საყოველთაო აღწერის თარიღად განსაზღვრულია 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი. მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (კრიტიკული მომენტი) აღებულია 4-5 ნოემბრის შუაღამის 12 საათი. (ე. ი. სააღწერო დოკუმენტაციაში არ შედის ინფორმაცია მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდაცვლილი პირების შესახებ).

ხობის მუნიციპალიტეტში საქართველოს მოქალაქეობის საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებული მოსამზადებელი და განსახორციელებელი სამუშაოები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით ხორციელდება.

სოფელ შავღელეში საბავშვო ბაღი აშენდა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს დაარსებიდან 26 წლის განმავლობაში საბავშვო ბაგა-ბაღი არ ფუნქციონირებდა. მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გამოყენებით, 2013 წლის ნოემბრის თვის ბოლოსათვის შავღელეში თანამედროვე ტიპის ახალი ნაგებობა აშენდა. 2014 წლის 15 სექტემბერს კი ბაგა-ბაღში სწავლას 30-მდე აღსაზრდელი შეუდგა. პროექტის ღირებულება 52 897 ლარია. სამუშაოები შპს „სახლმშენმა" განახორციელა.

WWW.khobi.ge.

ინტერვიუ

„ქვეყნის წარმატებული მომავალი ხალხს ეკუთვნის“

ნომრის სტუმარი გახლავთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ქეთევან ოდიშარია

ქალბატონო ქეთევან, რას გვიამბობდით თქვენს შესახებ?

–ჩემს შესახებ ძალიან მოკლედ ვისაუბრებ, ვარ აფხაზეთიდან, 1993 წლიდან დღემდე კი ჩემთვის აბსოლიტურად მიუღებელი, „ეგრეთწოდებული“, დევნილის სტატუსით ხობში ვცხოვრობ. 1987 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მაქვს ეკონომისტის კვალიფიკაცია მაგისტრის ხარისხით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა, შემდეგ თითქმის უწყვეტად ვმუშაობ სხვადასხვა თანამდებობებზე, ვყოფილვარ რიგითიც და ხელმძღვანელი პირიც. მიმუშავია სოფლის მეურნეობაში, საფინანსო და საბანკო სფეროებში, ამჟამად ვმუშაობ შპს „შავი ზღვის ტერმინალში“.

განვლილმა წლებმა ძალიან დიდი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება შემძინა, ვთვლი, რომ ჩამოვყალიბდი როგორც პიროვნება და სპეციალისტი.

მყავს მეუღლე და შვილი, რომელიც სწავლობს ქ. ხობის №2 საჯარო სკოლაში.

აფხაზეთიდან ბრძანდებით, თქვენი კუთხის შესახებ მეხსიერებას რა შემორჩა, რისი ნოსტალგია გაქვთ, ვინ და რა გეიმედებათ?

–აფხაზეთი ჩემი ტკივილი და ღია ჭრილობაა, ამას გულით ვამბობ და არა მხოლოდ სიტყვისთვის. ხშირად, როდესაც ჩავფიქრდები და სიჩუმეა ჩემს ირგვლივ, აღმოვაჩენ, რომ გონებით ჩემს სახლში ვარ, ჩემს ქუჩაზე დავდივარ და ვეძებ იმ ადამიანებს, ვისთანაც ერთად გავიზარდე, სადაც მიხაროდა ყოველი დღის გათენება და მეამაყებოდა ჩემი ოდაბადე. რაც წლები გადის, უფრო მეტად ვგრძნობ, როგორ მყვარებია იქაურობა. დღესაც, უკვე 21 წლის შემდეგაც, ჩემთვის უდიდესი ტკივილისმომგვრელია ეს რეალობა. ჩემს სულიერ ტკივილს სიღრმისეულად ვერასდროს გაიგებენ ადამიანები, რომლებსაც არ გაუვლია ის ჯოჯოხეთი, რასაც საკუთარი სახლიდან გამოძევება და ბედის ანაბარა ქუჩაში დარჩენა ჰქვია, როცა დეკემბრის სუსხიან დღეს ყელამდე გწვდება ცივი ენგური და მტრის ტყვიის შიშით ვერ გრძნობ იმ ტკივილს, რასაც გაყენებს ყინულნარევი უთვალავი წყლის წვეთი.

...სიცოცხლის გადარჩენის გრძნობა თურმე ყველაზე ძლიერი ყოფილა.

დევნილობა–ეს არის უზარმაზარი სტრესი, რომლის კომპენსაცია არ არსებობს და ვთვლი, რომ ადამიანებს, რომლებსაც ასეთი ბედი ერგოთ, უბრალოდ, ცხოვრებამ ძალიან დაჩაგრა.

....ჩემი აფხაზეთი ჩემს მეხსიერებას შემორჩა საოცრად ლამაზი, როგორც უკვდავება და უსასრულო ზღაპარი... საკმარისია ერთხელ მაინც გაიარო ენგურის ხიდს იქით, ესტუმრო ბზიფის ხეობას, ახვიდე რიწის ტბაზე ან მოხვდე ბიჭვინთაში და მიხვდები, რომ სამოთხის არსებობა რეალობაა.

ვინ მეიმედება? მეიმედება იქ მცხოვრები ქართველების დიდი და უდრეკი გული, ისინი, ვინც სიდუხჭირის, შფოთისა და აბსოლიტური დაუცველობის მიუხედავად, საკუთარ სახლებში ცხოვრობენ და ზრდიან შვილებს, ახერხებენ შეინარჩუნონ საკუთარი ენა, ადათ-წესები და სჯერათ, რომ აფხაზეთი აუცილებლად საქართველოს დაუბრუნდება.

რა მეიმედება? ქვეყნის წარმატებული მომავალი. მინდა ვირწმუნო, რომ სწორედ განახლებული, ძლიერი საქართველო შეუწყობს ხელს ქართველი და აფხაზი ხალხის დაახლოებას, ურთიერთპატივისცემის გააღრმავებს და რეალურს გახდის შერიგებას. მინდა ეს ყველაფერი ძალიან შორს არ იყოს, მეც შევძლო მოვეფერო ჩემს სახლს და მოვიშუშო ის ტკივილი, რომელიც თან დამყვება ორი ათეული წელია. დროის ეს მონაკვეთი შეიძლება ისტორიისთვის პატარა პერიოდია, მაგრამ ადამიანებისთვის ძალიან დიდი დროა. უკვდავნი არა ვართ. რამდენმა საფლავში ჩაიტანა საკუთარ მიწაზე დაბრუნების აუხდენელი ოცნება.....

რას იტყვით, როგორია ჩვენი რეალობა, შეიცვლება ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, რაში ხედავთ გამოსავალს?

–ეკონომიური მდგომარეობა ჯერჯერობით არ არის სახარბიელო, მაგრამ მჯერა, სიტუაცია თანდათანობით გამოსწორდება, მთავარია, შეიქმნას სამუშაო ადგილები და დასაქმდნენ ადამიანები. ჩემი სამსახურებრივი წვდომიდან ვიცი, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ძალიან მწირი რესურსია საწარმოო ტექნიკური ხასიათის კვალიფიციური კადრების, ძალიან იშვიათია კარგი მექანიკოსი, მეტროლოგი, ავტომატიკოსი და ა. შ. აუცილებელია აქტიურად წარიმართოს შრომითი რესურსის გადამზადების პროცესი, ახალ სამუშაო ადგილებზე მოთხოვნა იქნება ისეთ კვალიფიციურ კადრებზე, რომლებიც შესძლებენ მხარი აუბან თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებს და მათი შრომა მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩეოდეს.

მაღალკვალიფიციური კადრებით იმ მიზნის მიღწევა, რომელიც კონკურენტუნარიანს ხდის ნებისმიერ საწარმოს და მის პროდუქციას ბაზარზე, ბიზნესის მკაცრი და რეალური კანონზომიერებაა.

ძალიან განათლებული ქალბატონი ბრძანდებით, სპეციალობაც მეტად აქტუალური და შესაფერისი გაქვთ, რა იქნება ხვალ?

–იმაზე ფიქრიც კი არ მინდა, რომ ხვალინდელი დღე არ იქნება იმედიანი და ნაყოფიერი. ხალხმა სწორედ უკეთესობისკენ სვლის რწმენითა და იმედით გააკეთა საკუთარი არჩევანი. არავის აქვს იმედების გაცრუების უფლება. ერმაც და ბერმაც დაუღალავი შრომით უნდა შესძლოს შეუძლებელი და ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების დროს გაცემულ დაპირებებს ხორცი შეასხას. განახორციელოს ის პროგრამა, რაც მოსახლეობისთვის წარდგენილი იყო. ხალხთან მისასვლელი გზა სამომავლოდ უნდა იყოს ღირსეული და სინდის-ნამუსიანი. ხალხის მიერ არჩევა დიდი პატივია, მაგრამ ამავე დროს უდიდესი ტვირთიცაა, პასუხიმგებლობას უნდა გრძნობდე იმ ნდობის მიმართ, რაც გამოგიცხადეს. უნდა შეგეძლოს დაიხარჯო ბოლომდე და არა ის, რომ მხოლოდ მიჰყვე დინებას და ამით თვითკმაყოფილებას მიეცე. მოდით, მომავლის ერთად ვირწმუნოთ.

თქვენ რომ გკითხონ, უფრო ზუსტად, რომ გევალებოდეთ, უპირველესად რას გააკეთებდით?

–ჩვენს მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არ არის განვითარებული სამრეწველო ინფრასტრუქტურა. მის განვითარებას დრო სჭირდება. მოსახლეობა რეალურად აგრარული სექტორის განვითარების იმედად რჩება. ხელისუფლებამ ამ სექტორს სოლიდური მხარდაჭერა გაუწია, მაგრამ, როგორც ჩანს, გასაკეთებელი გაცილებით მეტია. აუცილებელია სოფელმა საკუთრივ იგრძნოს პროგრესი და შრომის შედეგად ადამიანებს ბეღელი და მარანი სავსე ჰქონდეთ. თუ სოფელი ღონიერია, ქვეყანაც ძლიერდება.

სასურველია, აგრარულ სექტორში დევნილი მოსახლეობის ჩართვა. როგორც წესი, მოსახლეობის ამ ნაწილს მიწის ფლობის პრობლემები აქვთ, რაც მათი აქტიურად ჩართვის სურვილსა და შესაძლებლობას ზღუდავს.

ძალიან ბევრი პრობლემაა სოციალურ სფეროში. მოუგვარებელია ბევრ კომპაქტურ თუ კერძო სექტორში ჩასახლებულ დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობები. საარჩევნო პერიოდმა დამარწმუნა, რომ სოფელთან აქტიური კომუნიკაციაა საჭირო, აუცილებელია, აღმოიფხვრას ვაკუუმი და შემცირდეს მიგრაცია. თუ სოფელი დაცარიელდა, მაშინ რეფორმების გატარებას აზრი არ ექნება.

მეტი მოფერება და ყურადღება სჭირდებათ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მათი აქტიურობა აუცილებელია მუნიციპალიტეტის ყოველდღიურობაში. ხშირად მესმის, კადრების დეფიციტიაო. ხობი ყოველთვის გამოირჩეოდა განათლებული ადამიანების სიმრავლით, დღევანდელ თაობაშიც ბევრია ისეთი, რომლებმაც მართლაც კარგი განათლება მიიღეს, მაგრამ დასაქმების პრობლემების გამო საკუთარ მუნიციპალიტეტში სამუშაოდ არ ბრუნდებიან. საჭიროა მოტივაციის ამაღლება და მათ მობრუნებაზე ძალიან აქტიური ზრუნვა. კვალიფიციური კადრები არის ის საძირკველთა საძირკველი, რაც აღორძინებს ეკონომიკას, დილეტანტიზმი ნებისმიერ სფეროს ანგრევს.

ის, რაც გილამაზებთ ცხოვრებას?

–ამ ბედნიერებას მანიჭებს ოჯახი, ახლობლები და მეგობრები–ადამიანები, რომლებიც ღირსეულნი არიან თავიანთი ცხოვრებისეული გზით და არსებობენ ჩემს ირგვლივ. სიმშვიდეს მგვრის გაჭირვებულის თანადგომა, დახმარება, კარგი წიგნის კითხვა, კლასიკური მუსიკის მოსმენა.

რა არის თქვენი შთაგონება?

–ჩემი შვილი, რომელიც მაძლევს სტიმულს და ძალას, ვიარო წინ, ვიყო სამართლიანიც და ტოლერანტულიც, მქონდეს პასუხიმგებლობა საკუთარი სინდისისა და იმ ადამიანების წინაშე, ვინც მენდობა, მხარი არ დავუჭირო მორალურ ღირებულებათა გადაფასებას და უპირველესად მართალი ვიყო საკუთარ თავთან. მინდა მას სჯეროდეს, რომ ნამუსის ძარღვის გაწყვეტის შემდეგ უღირსი საქციელიდან მოძღვართან აღსარება არ არის გამოსავალი. პირიქით, ეს უფრო მეტი უზნეობაა. მიჭირს ურთიერთობა ადამიანებთან, რომელთა ცხოვრებისეული კრედოა „მიზანი ამართლებს საშუალებას“, ძალიან ბევრჯერ საპირისპიროდ ხდება, მიზანი არ ამართლებს საშუალებას. მთავარია, როგორ ნაკვალევს დავტოვებთ ჩვენი ცხოვრებით და რას იტყვიან ჩვენზე.

რას ვერ პატიობთ ადამიანებს?

–უპირველესად ღალატს, გაუტანლობას და მლიქვნელობას. ამ თვისებების მატარებელნი მართლაც, რომ უბედურები და საცოდავები არიან.

იზიარებთ თუ არა მოსაზრებას –„პოლიტიკა ბინძურია“?

–არამც და არამც. პოლიტიკა უფაქიზესია, სადაც ნებისმიერი ქმედება ადეკვატურად აისახება საზოგადოებაზე. ამ მოსაზრებას ამკვიდრებენ ისინი, ვინც უმსგავსო საქციელის ან ქმედების დასაფარად და „გასაპრავებლად“ ამტკიცებენ თეორემებს პოლიტიკის სიბინძურის თაობაზე. იქ, სადაც საქმიანობა ასეთი თეორიის საფუძველზე აიგება, წარმატებების მიღწევა შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

რას ისურვებით, რას ელით მომავლიდან?

–უპირველესად ქვეყნის გამთლიანებას ვისურვებდი, შემდეგ კი ერთი ოცნება მაქვს. მარტო სუფრასთან სადღეგრძელოს წარმოთქმისას ნუ ვიქნებით ენამზიანები და მოსიყვარულენი, არამედ ყოველ საათს, წუთსა თუ წამს გვახსოვდეს გურამ დოჩანაშვილის სიტყვები: „სიყვარული აბრუნებს დედამიწას“. დღეს საზოგადოებას ურთიერთსიყვარული და პატივისცემა აკლია, ეს კი საფუძველს უქმნის იმ უსასტიკეს დანაშაულს, რასაც კაცის კვლა ჰქვია. მინდა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებისეული კრედო იყოს ის ათი მცნება, რაც უფალმა განგვიმარტა, მშვიდად და ღირსეულად განვლოთ ის წუთისოფელი, რაც გვაშორებს მარადიულობას. ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენ შეგვეფერება და ერთმანეთს ვესაუბროთ უშუალოდ, გახსნილად და არა ზოგადი წინადადებებითა და ციტატებით. ადამიანები ერთმანეთთან უფრო ახლოს უნდა მივიდნენ .

ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლიდან ორი წელი გავიდა, რა არის თქვენთვის ეს ორი წელი?

_ორი წელი არ არის იმდენად დიდი დრო, რომ ყველა დაპირება სრულად შესრულდეს. პროგრამა გათვლილი იყო უფრო დიდ პერიოდზე და იმედია, ყველა საკითხი შესრულებადი იქნება. განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი ბევრი რამ გაკეთდა, გამოვყოფდი ზოგიერთ მათგანს: ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის უდიდესი პროგრამა, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული მხრდაჭერა, უფასო სახელმძღვანელოები, მოსწავლეთა ტრანსპორტირება, ინფრასტრუქტურული პროგრამები და ა.შ. მთავარია, ტემპი არ შენელდეს, უფრო სწრაფად უნდა მოგვარდეს პრობლემები. ქვეყნის წარმატებული მომავალი ხალხს ეკუთვნის. მჯერა, დასახული მიზნები აუცილებლად მიიღწევა.

თუ გაქვთ კიდევ რამე დამატებით სათქმელი?

–ხობი ჩემი მეორე ოდაბდეა. რამდენი წელია აქ ვცხოვრობ ოჯახთან ერთად. ჩემს თვალწინ გაიარა ხობის ძალიან ბევრმა ტკივილმა და წარმატებამ, ბევრი მათგანის თანამონაწილეც კი ვყოფილვარ. ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი აქ გავატარე და ვიცნობ თითქმის ყველას: ჟურნალისტს, ინჟინერს, ბანკირს, ექიმს, მასწავლებელს, მძღოლს, აღმზრდელს, მეპურეს, გამყიდველს, მეეზოვეს, ღურგალს, მეწაღეს, ეკონომისტს, სპორტსმენს, მომღერალს თუ მოცეკვავეს და ა.შ. დიახ, ბევრ მათგანთან ვმეგობრობ, ვახლობლობ და მინდა ძალიან დიდი პატივისცემა და მოწიწება გამოვხატო ყველა იმ ხობელის მიმართ, ვისგანაც პატივისცემა და მხარდაჭერა მიგვრძნია. გულისტკენაც მქონია, მაგრამ კარგი და ლამაზი ურთიერთობები უფრო მეტი ყოფილა. სწორედ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, ჩემმა ოჯახმა საბოლოოდ აქ დამკვიდრება რომ გადაწყვიტა. ხობი ჩემი და ჩემი მეუღლის დედულეთია, აქ ძალიან ბევრი ახლობელი და მეგობარი გვყავს. შვილი აქ გაიზარდა, ხობი მისთვის მშობლიურია და საოცრად უყვარს. ნებისმიერ სიტუაციაში ჩემს მორალურ ვალდებულებად მიმაჩნია ხობის, ხობელებისა და ჩემი დარდიანი, მაგრამ სულით ძლიერი ხალხის - დევნილების მხარდაჭერა, ჭირისა და ლხინის გაზიარება. ვინც მიცნობს, ჩემს ნათქვამში ახალს ვერაფერს ამოიკითხავს, ვინაიდან ეს ჩვეულებრივი ცხოვრების წესია. ჩემი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით თანადგომა და სიკეთის კეთება არ დამზარებია და უარი არ მითქვამს. იმედია, მომავალშიც ასე იქნება. ყველა ოჯახს წარმატებებს ვუსურვებ.

თქვენს რედაქციას მინდა მადლობა ვუთხრა. ჩემი შვილი ხშირად თანამშრომლობს თქვენ გაზეთთან, ვარ თქვენი მკითხველი და უფრო ახლოს ვიცნობ თქვენს რუტინულ და დაუღალავ შრომას. მინდა გისურვოთ ბევრი, ძალიან ბევრი რესპოდენტი და საინტერესო სტუმარი.

გფარვდეთ ღმერთი!

ნანი კილასონია.

ინტერვიუ

ნომრის სტუმარია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი–ანტონ ვარდია.

მოსახლეობის სასიკეთოდ, მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად

ბატონო ანტონ! როგორც თქვენი ბიოგრაფიიდან ჩანს, ცხოვრების საუკეთესო წლები სამართალდამცველ სისტემაში იმუშავეთ. რამ განაპირობა თქვენი „სამოქალაქო სექტორში“ დაბრუნება. სად უფრო კარგად გრძნობთ თავს? თქვენი ადგილი იპოვეთ?

–სამართალდამცავ ორგანოებში 23 წლის მუშაობის სტაჟი გამაჩნია. ქვეყნისთვის რთულ პერიოდში ცხოვრების საუკეთესო წლები მართლაც ამ სისტემაში მუშაობას შევალიე, მაგრამ იქიდან 2010 წელს გულნატკენი წამოვედი, რადგანაც მითხრეს, რომ 50 წელი შეგისრულდა და არ გვჭირდებითო. მივხვდი, რომ იმ დროისთვის სისტემას მხოლოდ მათი ნების უსიტყვო შემსრულებლები სჭირდებოდა და არა ავტორიტეტული და პატიოსანი ადამიანები. რადგანაც სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტი ვარ და სამეურნეო საქმიანობაში მუშაობის გამოცდილებაც გამაჩნდა, მოვაშურე მშობლიურ რაიონს და მუნიციპალიტეტის გამგეობაში დავიწყე მუშაობა.

მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ვხელმძღვანელობ მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურს. ვფიქრობ, რომ ჩემი ცოდნით და გამოცდილებით საჭირო საქმეს ვაკეთებ.

თქვენი სამსახურის ფუნქციებზე რას გვეტყვით?

–სამსახური უზრუნველყოფს თვითთმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, ამ მიზნით საჭირო ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, წინადადებების შემუშავებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას, სატრანსორტო რეგულირებას, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ. ამ საკითხებით დაინტერესებულ მოსახლეობას ჩვენთან მომართვის შემთხვევაში მივაწვდით ამომწურავ ინფორმაციას.

წლის ბოლომდე არც ისე შორია, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს ახალ წლამდე?

–ამჟამად მიმდინარეობს მუნიციალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აუთვისებელი ქონების რეგისტრაცია. აღირიცხება, როგორც სახელმწიფო, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ფართობები.

მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მდებარეობა და აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ინვესტორთა დიდ დაინტერესებას იწვევს. სოფელ ზემო ქვალონში შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ 200 ჰექტარზე აპირებს დაფნის პლანტაციის გაშენებას, ხოლო დაფნის გადამამუშავებელი საწარმო ხობში გაიხსნება.

მუნიციპალიტეტში თერმული წყლების არსებობა ხელს უწყობს სასათბურე მეურნეობის განვითარებას. ახალსოფელში 10 ჰა მიწა გამოიყოფა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასათბურე მეურნეობის მშენებლობისთვის, ასევე თორსაში მესაქონლეობის განვითარებისათვის დიდი ინვესტიციების ჩადება იგეგმება.

ხობში ინვესტორის მიერ შერჩეულიქნა ადგილი საკონსერვო და თხილის გადამამუშავებელი საწარმოს შესაქმნელად. ამ საწარმოებში ძირითადად ხობის მოსახლეობა იმუშავებს და მომავალი წლისათვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხელს შეუწყობს უმუშევრობის შემცირებას.

სამსახურის შესაბმისი განყოფილების მიერ შემუშავებულიქნა ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების კონცეფცია და განსახილველად გადაეგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტში არსებული უნიკალური, მაგრამ დღეის მდგომარეობით გაძარცვული სპორტული ინფრასტრუქტურის (საცურაო კომლექსი, ცენტრალური სტადიონი, ჩოგბურთის კორტები და ფეხბურთის სავარჯიშო მოედნები) აღდგენა-რეაბილიტაციაზე.

ახლა, როცა მომავალი წლის ბიუჯეტი განხილვის ფაზაშია, რა არის დაგეგმილი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის და პროგრამების მართვის კუთხით?

–სამსახური ჩართულია მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვაში, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ შ.პ.ს „ხობის დასუფთავება და განათების“ მომავალი 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ, ბიუჯეტში გასათვალისწინებული ღონისძიებები, ჩვენი აზრით, დადებითად აისახება ამ სამსახურის საქმიანობაზე და ქალაქის მოსახლეობა მომავალი წლიდან იგრძნობს მის სიკეთეს.

კადრებზე რას იტყვით?

–სამსახური დაკომპლექტებულია კომპეტენტური კადრებით. სადაც ერთმანეთთან შერწყმულია ცხოვრებისეული გამოცდილება და ახალგაზრდული შემართება. განყოფილებებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური და დიდი გამოცდილების მქონე ადამიანები მარინა რუხაძე და მალხაზ იოსავა. ახლად შექმნილი სამსახური მზადაა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასიკეთოდ დღევანდელი მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად მასზედ დაკისრებული მოვალობების შესასრულებლად იმუშაოს.

ესაუბრა მერი ლაგვილავა

შიდა აუდიტი და მისი ამოცანები

აუდიტორული საქმიანობა მეტად პოპულარული და კომპეტენტურია, რადგანაც გაიზარდა მისი უფლება-მოვალეობების არსი, მნიშვნელობა და ამოცანები, მას აუდიტორულ საქმიანობასთან ერთად კონტროლის უფლებებიც მიენიჭა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ახლახან შეიქმნა გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური. მიზანმიმართულია მკითხველმა იცოდეს თუ რას წარმოადგენს ეს სამსახური, რას მოიცავს იგი, თუ როგორ წარიმართება აუდიტორული საქმიანობა, როგორ ხდება მისი ამოცანების განსაზღვრა. ე.ი. რა არის ამ სამსახურის ძირითადი მიზანი.

სწორედ ამის შესახებ ვესაუბრეთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსს მინდია ნაჭყებიას და მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ

დოსიე:

მინდია ნაჭყებია *დაიბადა 1987 წლის 26 ივლისს. 2004 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა. 2004–2008 წლებში სწავლობდა სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე, 2008–2010 წლებში დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის მაგისტრატურა საჯარო სამართლის სპეციალობით.*

2009–2014 წლებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის იურისტია. ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური მეურვეობა-მზრუნველობის საბჭოს წევრი (საბჭოს იურისტი), დამატებით, არასამთავრობო ორგანიზაციის „სათემო ცენტრის“ გამგეობის წევრი.

2014 წლის 25 აგვისტოდან დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის უფროსად.

ჰყავს მეუღლე სალომე ზარანდია, დედა ლიანა ძიძავა–პედაგოგი, სამი და.

მამა რუსლან ნაჭყებია–1988 წელის 19 სექტემბერს ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა.

ბატონო მინდია, რა არის თქვენი სამსახურის ძირითადი მიზანი (ფუნქცია-მოვალეობები)?

–შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, მართვის გაუმჯობესებას, დისციპლინისა და კანონიერების დაცვას.

ჩვენი სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ის მხოლოდ ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მისასალმებელია ასეთი სამსახურის შექმნა, რადგან კონტროლის მექანიზმი ერთგვარად სრულყოფს თანამშრომელთა მხრიდან მათზე დაკისრებული ვალდებულების უკეთესად განხორციელებას.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურში რამდენი ადამიანია დასაქმებული?

–ჩვენთან, ჩემს გარდა არის სამი თანამშრომელი: მთავარი სპეციალისტი-ნინო სიჭინავა, წამყვანი სპეციალისტი-ნინო ალანია და უფროსი სპეციალისტი-ირაკლი ძიძიგური.

როგორ და რითი დაიწყეთ პირველი დღეები?

–პირველი დღეები გაცნობითი ხასიათის იყო. შემდეგ შევუდექით ჩვენი ფუნქციების განხორციელებას. ვსწავლობთ და ვადგენთ რამდენად სწორად და სამართლიანად ასრულებენ ხობის გამგეობას დაქვემდებარებული ა(ა)იპი-ებსა და გამგეობის სამსახურებში დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს დასაქმებული პირები.

რას გეგმავთ სამომავალოდ?

–რაც შეეხება მომავალს, ვგეგმავთ ჩვენზე დაკისრებული ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულებას. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, კონტროლისა და აუდიტის სამსახურს აქვს თავისი საქმიანობითი სპეციფიკა, გამომდინარე აქედან, ჩვენი სამსახურის მუშაობა იქნება ღია და გამჭვირვალე. შევეხებით ხობისა და ხობელებისთვის აქტუალურ პრობლემებს და ჩვენს შეხედულებებს წარვუდგენთ გამგებელს.

აუდიტის სამსახური, როგორც აღვნიშნე, შეუდგა თავისი მოვალეობების შესრულებას. ჩვენს მიერ მოწმდება სამსახურში გამოცხადებისა და დისციპლინის საკითხები. სრულდება თუ არა მათზე დაკისრებული ვალდებულებები... როგორც ჩვენი სამსახურის ფუნქციები განსაზღვრავს, უფლებამოსილები ვართ მოვახდინოთ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისა და ხელმძღვანელების ინფორმირება, შიდა კონტროლის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების შესწავლა, არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება.

ესაუბრა ნანი კილასონია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

შხვმა ნალექმა სოფლები დააზარალა

გადაუღებელი წვიმების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტში ადიდდა მდინარეები, დაზიანდა ინფრასტრუქტურული ობიექტები და ელექტრო გადამცემი ბოძები. ადიდებულმა მდინარე ჭანისწყალმა ძველ ხიბულასა და ახალ ხიბულას შორის დამაკავშირებელ ხიდს მარჯვენა სანაპირო ბურჯი გამოაცალა და რკინის კონსტრუქციის ნაგებობა მიწაში ჩაიტანა. წყალდიდობამ ზიანი მიაყენა სოფელ ქარიატასა და ხორგის მოსახლეობასაც. დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

სტიქიის ადგილზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და ეკონომიკის სამსახურის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. უამინდობის გამო მობილიზებული იყო პოლიცია და სახანძრო-სამაშველო სამსახურები. მნიშვნელოვანი ზარალის არსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობას დახმარებას დაპირდა.

გისაროდენ! გოგა კორტავა_ მსოფლიო ჩემპიონი შოტოკან კარატე დოში

21 ოქტომბერს ქ. თბილისში სპორტის სასახლეში შოტოკან კარატე-დოს მსოფლიო თასის ტურნირი ჩატარდა. ტურნირში 30 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. მსოფლიო თასის მფლობელი 61 წონით კატეგორიაში ხობელი გოგა კორტავა გახდა (მწვრთნელ-მასწავლებელი ბაჩუკი სულამანიძე). გამარჯვებული თასით, მედლითა და დიპლომით დააჯილდოვეს.

ქველმოქმედება

ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ დიანა ჯანჯღავამ პროფკავშირების საწევრო თანხიდან „დიტო ცინცაძის სახელობის ფონდში“ ლეიკემიით დაავადებულთა დასახმარებლად, თანხა 200 ლარის ოდენობით გადარიცხა. პროფკავშირის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მსგავსი საქველმოქმედო აქცია პერმანენტულ სახეს მიიღებს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლები ხობში

22 ოქტომბერს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ზუგდიდისა და ქუთაისის ოფისის წარმომადგენლები, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის კარგად მართულ მიგრაციის ხელშეწყობაზე, თუ როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ლეგალურ მიგრაციის შესაძლებლობებზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივად ახორციელებენ ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტს. 30-თვიანი პროექტის ზოგადი მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა. პროექტი ფოკუსირდება ოთხ მთავარ ამოცანაზე: მიგრაცია და განვითარება, მიგრაციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა და მიგრანტთა უფლებების დაცვა. პროექტი ითვალისწინებს მიგრანტთა ღირსეული დაბრუნებისა და მათი რეინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებლის მოადგილეები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგი სკოლებსა და საბავშვო ბაღებში

„ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წარმომადგენლები ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებს ესტუმრნენ.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ინფორმაციით, ***„ECH30*** ენტეროვირუსით გამოწვეული მენინგიტის ეპიდემიის აფეთქების კონტროლის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014წლის 19 სექტემბრის №1724 განკარგულების შესაბამისად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 30 სექტემბრის №06/2954 წერილის თანახმად, მათ მიერ შემუშავებული სანიტარიისა და ჰიგიენის მდგომარეობის შესაფასებელი კითხვის მიხედვით, ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვების საღმზრდელო დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იყო სკოლებსა და სკოლამდელ საღმზრდელო დაწესებულებებში წყლის ხელმისაწვდომობასა და წყალმოხმარების ტექნიკური საშუალებების, სველი წერტილების, ჰიგიენის ხელშეწყობის საკითხების მოგვარებაზე, იმ პრობლემების დაფიქსირებაზე, რომელიც ზემოთხსენებულ ბავშვთა და მოზარდთა დაწესებულებებში ხელს უშლის წყალმომარაგების, სანიტარიისა და ჰიგიენის სათანადო პირობების უზრუნველყოფას.

ამ კუთხით, მუნიციპალიტეტის სკოლებსა და სკოლამდელ საღმზრდელო დაწესებულებებში წლების განმავლობაში გამოვლენილ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევებს, რაც ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ სკოლებსა და საბავშვო ბაღების აბსოლუტურ უმრავლესობაში მოსაგვარებელია ან გასაუმჯობესებელია და რეაბილიტაციას საჭიროებს წყალმომარაგების, სველი წერტილების, საპირფარეშოების, ხელსაბნების მოწყობის და მათი ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა.

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ წარმოდგენელი ანგარიშების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში იგეგმება პრობლემების მოგვარებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შემუშავება.

5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ღვაწლი

თქვენ ეს დაიმსახურეთ!

„იის სურნელით დაფერილ წიგნში შენ დამიკრიფე პირველი ია, მასწავლებელო, შენ ისე კარგი, ისე ლამაზი სახელი გქვია!..“

ღირსეულო მასწავლებელო, არეთა ჩოკორაია–ბუკიავ! თმებდათოვლილო ქალბატონო, მინდა ათასობით მასწავლებელთა შორის გამოგარჩიოთ და მოგილოცოთ თქვენი პროფესიული დღესასწაული.

ათეულ წლებს მოიცავდა თქვენი მოღვაწეობა ამ სფეროში. თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელიც პატარებს, პირველმაისელ ბავშვებს გონებას ულამაზებდით, გულებს სიყვარულით უვსებდით, აზიარებდით ცოდნის სამყაროს და ესათუთებოდით მათ სულსა გულს.

არეთა მასწავლებელო! ამ დიდი მწუხარების ჟამს, მინდა მოგეფეროთ, გულში ჩაგიხუტოთ და თვალზე ცრემლები შეგიშროთ. გაგამხნევოთ და გითხრათ, თქვენ არაფერი გაქვთ სანანებელი, დიდი მწუხარების მიუხედავად, რათა თქვენი აღზრდილები შორიდან დღესაც გესათუთებიან და თქვენს მწუხარებასა და გულისტკივილში თანაგიგრძნობენ. ვცდილობ ამ პატარა ბარათით შვილის გარდაცვალების გულისტკივილი ოდნავ მაინც შეგიმსუბუქოთ. მინდა გითხრათ, თქვენ ყველას ძალიან უყვარხართ და გაფასებენ.

წელთა სიმრავლე ღვთისაგან ბოძებული მადლია, თქვენ ეს უფალმა დაგანათლათ. თავი იმითაც უნდა ინუგეშოთ, რომ, როგორც იტყვიან, „ღმერთსაც კარგები უნდაო“. ალბათ ეს ერგო წილად თქვენს რევაზის, ასე, რომ დამშვიდდით და სხვა შვილებს–ზურისა და თამაზის მიესათუთეთ, ასევე თქვენს გაზრდილ შვილიშვილებსა და რძლებს. ისინი თქვენი სიცოცხლით კიდევ დიდი ხანი გაახარეთ.

თქვენ ყველა სიკეთე დაიმსახურეთ ქალბატონო არეთა. ღირსეული მეუღლის ღირსეულმა ცოლმა, მარტოდარჩენილმა ობლობაში გამოზარდეთ შვილები და უმწიკვლო ქალბატონის სახელი დაიმსახურეთ.

მასწავლებელო, დედავ, ბებიავ!.. არ ვიცი გამოვხატე თუ არა თქვენდამი დიდი მოწიწება, მოკრძალება და სიყვარული, მაგრამ მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მაქვს საშუალება ამ მცირედი ნაწერით საქვეყნოდ მოგეფეროთ და ტკივილიან დღეებში გითხრათ, რომ თქვენ ბევრს, ძალიან ბევრს უყვარხართ. ეს ღირსეულად დაიმსახურეთ!

ნანი კილასონია.

ინტერვიუ

ოჯახი პატარა „სახელმწიფოა“

მასწავლებლობა რთული პროფესიაა, მაგრამ პირველი მასწავლებელი ადამიანის მეხსიერებაში სხვა კვალს ტოვებს. გაზეთის სტუმარი ყველასათვის საყვარელი პიროვნება და მასწავლებელი, მრავალი თაობის აღმზრდელი ქალბატონი ლეილა გაბრავა გახლავთ. ათეული წლები პირნათლად ემსახურა თავის ფასდაუდებელ პროფესიას, სიყვარულისა და მადლის მატარებელმა, სიყვარული დათესა თავის მოსწავლეებში, სწორედ ამიტომაა, რომ მას დღესაც კი დიდი სიყვარულით იხსენებენ.

ქალბატონო ლეილა, ყველასთვის კარგად ნაცნობი პიროვნება ბრძანდებით, მაგრამ ამ შაბლონურ კითხვას ვერ გავექცევი, თქვენი მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები...

–1945 წლის მაისში დავიბადე. 1963 წელს ხობის N1 საშუალო სკოლის სრული კურსი დავამთავრე.ამავე წელს სოხუმის, გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტზე მოვეწყვე, რომელიც 1967 წელს დავამთავრე. 1968 წლის აპრილიდან 1973 წლის აგვისტომდე კომკავშირის ხობის რაიკომში აღრიცხვებისა და ფინანსების სექტორის გამგედ ვმუშაობდი. 1973 წლის 20 აგვისტოდან პედაგოგიური მოღვაწეობა ხობის პირველ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად დავიწყე. სადაც 2012 წლამდე ვიმუშავე.

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ, როგორი ბავშვობა გქონდათ?

–მგონია, რომ მშვიდი ბავშვობა მქონდა; შეიძლება ბევრი რამ გვაკლდა, მაგრამ მიზნის მიღწევა შეგვეძლო.

სკოლა თუ სტუდენტობის წლები, როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო ამახსოვრდება ადამიანს? და თქვენ რომელს გამოარჩევდით?

–ადამიანს სკოლისა და სტუდენტობის წლები ერთნაირად ამახსოვრდება, მაგრამ უფრო სიყვარულით მოსაგონარი ბავშვობის წლებია.

როგორ გაიხსენებდით პირველ მასწავლებელს?

–ჩემი პირველი მასწავლებელი აწგარდაცვლილი ვერა დარასელია გახლდათ. მისი მიბაძვით გავხდი პატარების მასწავლებელი, ჩემი საყვარელი მასწავლებელი, ჩემთვის მისაბაძი იყო...

რა არის ოჯახი? თქვენს ოჯახზე მოგვიყევით...

–ოჯახი საზრუნავი და საპასუხისმგებლო პატარა „სახელმწიფოა.“ მყავს ორი ვაჟიშვილი, ორივე დაოჯახებული, ერთი სტუდენტი შვილიშვილი, მეუღლე გარდამეცვალა.

ათეული წლების განმავლობაში თქვენ დაწყებითი კლასის პედაგოგი ბრძანდებოდით და მრავალი თაობა აღზარდეთ. როგორ გაიხსენებდით იმ წლებს?

–მასწავლებლობის წლები ძალიან საზრუნავი და საპასუხისმგებლო, დაუღალავი ენერგიით სამუშაოა.

როგორი იყო პირველი სამუშაო დღე სკოლაში?

–პირველი სამუშაო დღე სკოლაში ალბათ ისეთია პედაგოგისთვის, როგორც პირველი დღეა სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის.

კლასი, რომელმაც ყველაზე მეტად დაგამახსოვრათ თავი?

–ყველა გამოშვება თითქმის ერთნაირად მახსოვს.

რა პარალელს გაავლებდით დღევანდელ და მაშინდელ სკოლასა და მოსწავლეებს შორის?

–მაშინდელი სკოლა და მაშინდელი მოსწავლეები შეესაბამებოდა მაშინდელ დროებას, დღევანდელი კი დღევანდელს. სკოლა და მოსწავლეები პასუხობდნენ მაშინდელ მოთხოვნებს, დღევანდელი კი დღევანდელს...

წიგნი თუ კომპიუტერი?

–ორივე აუცილებელია;კომპიუტერი ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ წიგნიერებას ხელი არ შეუშალოს.

სხვანაირი თაობა მოდისო, ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზას. მაინც, როგორი თაობა მოდის?

–სწორია, სხვანაირი თაობა მოდის, რა თქმაუნდა უკეთესი; ასეც უნდა იყოს; ერთ დონეზე ხომ არ ვიქნებით. მე ვფიქრობ, ძალიან კარგი და წარმატებული თაობა მოდის.

დიდსა და პატარას ვურჩევ: მოვესიყვარულოთ, ფაქიზად მოვექცეთ ერთმანეთს; ვიცოდეთ უფროსებისა და უმცროსების პატივისცემა; გვქონდეს მოკრძალებული საქციელი; ვიყოთ გამტანები, პასუხისმგებლები.

ესაუბრა ნინო გერგაია.

სამადლობელი

ულამაზესი განცდა...

სამოცდათხუთმეტი წელი ვიღვაწე სკოლაში, ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი. ამასთან, ათეული წელი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეც გახლდით. სკოლაში პენსიონერიც ვმუშაობდი. სკოლა ჩემი ხსნა და მეორე ოჯახი გახლდათ. ჩემს ღვაწლს უშედეგოდ არ ჩაუვლია, მთავრობის მრავალი ჯილდო მაქვს მიღებული... მადლობა უფალს ნაბოძები წლებისთვის.

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა. მადლობას ვწირავ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს გოჩა ქაჯაიასა და საკრებულოს თავმჯდომარეს ედიშერ ჯობავას მოძღვნილი საჩუქრებისთვის. მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომ ვახსოვართ პენსიონერი მასწავლებლები, მადლობა მათ, ჩემი მონახულებისთვის. ამით ულამაზესი განცდა მაგრძნობინეთ

ნაგვიანევად, მაგრამ მაინც დიდი პატივისცემით ვულოცავ ამ დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა მასწავლებელს., განსაკუთრებული სიყვარულით მსურს ეს დღე ჩემს ყოფილ კოლექტივს–ხამისქურის საჯარო სკოლის მასწავლებლებს მივულოცო და თითოეულს ხანგრძლივი და ლამაზი დღეების სიმრავლე ვუსურვო.

მადლობა მათ, ვინც ეს დღე მომილოცეს და 97 წლის ქალბატონს კიდევ ერთხელ მაგრძნობინეს, რომ მასწავლებელი ვარ!

ნათელა კობახიძე,
პენსიონერი მასწავლებელი, ღირსების ორდენოსანი.

მასწავლებელი_სულის მოძღვარი

მოსწავლისათვის მასწავლებელი მანათობელი შუქურაა, რომლისგანაც მოსწავლე ყოველგვარ სიკეთეს ირეკლავს. ამასწინათ სკოლიდან გავაცილეთ ყველასათვის საყვარელი პედაგოგი, რომელმაც ეს საპატიო სახელი 48 წლის განმავლობაში ატარა და ერთსა და იმავე სკოლაში იღვაწა. აღზარდა თაობები, მათ შორის ვარ მეც, რაც სიამაყით მავსებს...

რა დროც არ უნდა გავიდეს, ყოველთვის დამამახსოვრდება მერი თაკვარელიას სახის თითოეული ნაკვთი, თითოეული ნაოჭი, დატალღული ჭაღარაგარეული თმები. მომღიმარი სახე, თბილისური კილო და იერი. არ დამავიწყდება დღე, როდესაც ის წავიდა სკოლიდან, როდესაც მე მას სახლისკენ ფეხით მიმავალს ცრემლიანი თვალებით ვუყურებდი, მინდოდა შემეჩერებინა და მოვფერებოდი, მაგრამ ვერ შევძელი, იმ მოწიწების გამო, რომელიც ყველა მოსწავლეს აქვს მასწავლებლის მიმართ.

მე ის ხომ მშობელ დედასავით მიყვარდა. სწორედ ეს არის დასაფასებელი, უნარი, რომელიც მას ქონდა, აქვს და დიდხანს ექნება კიდეც. ეს არის სიყვარულის უნარი, რომელსაც ყველასთვის ერთნაირად ანაწილებდა.

არ არის იოლი იყო ქალი, იყო დედა, იყო ბებია, იყო მასწავლებელი ანუ, მრავალი შვილის გამზრდელი, ეს რჩეულთა ხვედრია. ეს უბრალოდ გამოუვიდა. მან თითოეული ბავშვის გულში სასიამოვნო კვალი, სასიამოვნო მოგონებები დატოვა, სკოლაში კი უზარმაზარი სიყვარული დაიმსახურა, რომელიც მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.

პოლინა ფილიპია,
პირველი მაისის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

გვწერენ

საპატიო პროფესია

მასწავლებლობა ერთ-ერთი საპატიო და საპასუხისმგებლო პროფესიაა. მათ ღვაწლს დაფასება სჭირდება, რამეთუ სახელმწიფოს წარმატება და წარუმატებლობაც განათლების ხარისხზეა დამოკიდებული.

ხობის N2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანლის ლალი სურმავას ხელმძღვანელობით, მასწავლებელთა დღესთან დაკავშირებით მოკრძალებული ღონისძიება გაიმართა. მოსწავლეები მოეფერნენ საყვარელ მასწავლებლებს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დაწყებითი კლასების მოსწავლეები, პირველკლასელებმა მასწავლებლებს ლექსები მიუძღვნეს, იყო სიხარული და მადლიერება. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა მასწავლებლები ყვავილებით დაასაჩუქრეს.

ამ დღესთან დაკავშირებით დაწყებითი კლასების მასწავლებლებმა სტენდები გამოფინეს, სადაც მათი კლასის ფოტოკოლაჟი იყო წარმოდგენილი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ მასწავლებლებო ამ თქვენთვის ღირშესანიშნავ თარიღს და სახელოვანი თაობების აღზრდას გისურვებთ.

ნინო გერგაია.

იუბილე

ოთარ ყობახიძე–90



წელთა სიმრავლე ღვთის დიდი საჩუქარია ბატონო ოთარ. თქვენ ღვთისაგან ნაბოძარ წელთა სიმრავლეს –დაბადებიდან 90-ე წლისთავს გილოცავთ.

რედაქციელებს გვახსოვს თქვენს მიერ განვლილი ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი, რომელიც გაჯერებულია პატიოსანი, დაუღალავი წლებით. გიღვაწიათ კომკავშირულ, პარტიულ, სამეურნეო სამსახურებში, რითაც დიდი წვლილი შეგიტანიათ რაიონის აღმშენებლობაში.

დღესაც გაფასებენ, როგორც კარგ მეუღლეს, მამას, ბაბუას, მეგობარს, მეზობელს, ახლობელს.

დაე, კიდევ დიდხანს გაგეხარებინოთ შვილები და შვილიშვილები თქვენი სიცოცხლით.

ჩვენ თანაზიარნი ვართ თქვენი ოჯახის სიხარულის. თქვენი ცხოვრების 90 წლიანი იუბილეს აღნიშვნის. ეს სასახელო გზა კიდევ გაგრძელებულიყოს და საუკუნოვან იუბილესაც დასწრებოდეთ.

გილოცავთ და გეფერებით.

რედაქციელები.

* * *

ბატონო ოთარ!

ათეული წლები თქვენთან სამსახურებრივად გვაკავშირებდა. გვახსოვს თქვენი მამაშვილური, მკაცრი და საქმიანი ურთიერთობები. ყოველივე სწორედ თქვენდამი პატივისცემის და სიყვარულის გამო დღემდე გაგრძელდა... ამასობაში წლებმა თავისი გაიტანა, დაბადებიდან 90 წელიწადიც გასულა... გვიხარია, ასე მხნედ რომ გამოიყურებით. გვახსოვხართ გამორჩეული კეთილსინდისიერებით, პატიოსნებით, ახალგაზრდებთან თბილი დამოკიდებულებით. საზოგადოების სიყვარულით გარემოსილი, რომელიც დღემდე მოგყვებათ. ამის დასტური იყო თუნდაც თქვენს დაბადების დღეზე სტუმართა სიმრავლე.

გილოცავთ იუბილეს, კიდევ მრავალგზის მოგვეულოცოს, შვილებთან და შვილიშვილებთან იხარეთ და იბედნიერეთ.

ქეთევან ნადარაია, ვერა ქირია.

* * *

ბატონო ოთარ!

დიდი მოწიწებით გილოცავთ ოთხმოცდაათი წლის იუბილეს. გილოცავთ და გეფერებით, მისაბაძი შრომითი ბიოგრაფიის პატრონს, დიდებულ მეოჯახეს, მოსიყვარულე მამას და ბაბუას, საიმედო მეზობელს.

ბატონო ოთარ, თქვენი თანამედროვენი გიცნობენ, როგორც მაღალპროფესიონალს, ლიდერს, უშურველ და უღალატო ადამიანს, „კაცურ-კაცს". თქვენ ცხოვრებას დღემდე ასეთად შემორჩით. თქვენისთანა სპეტაკი ადამიანები, თავიანთი ყოფითი ბიოგრაფიით ალამაზებენ წუთისოფელს. ჩვენთვის, თქვენი უახლოესი მეზობლებისთვის, პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების ეტალონი ბრძანდებით.

მზეგრძელი იყავით, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, ბატონო ოთარ!

ლუიზა ცანავა.

სპორტი

რამაზ კიტიას სახელობის თასზე

25 სექტემბერს, ქ. ხობში, დათა ხურცილავას სახელობის სტადიონზე სტარტი აიღო ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ წარმოება დაწესებულებათა პირველობამ მინი ფეხბურთში, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სოფელ ხურჩაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული პოლიციელის რამაზ კიტიას ხსოვნისადმი იყო მიძღვნილი. შეჯიბრებაში რვა გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც კენჭისყრით A და B ქვეჯგუფებში გადანაწილდნენ.

A ჯგუფში გამოდიოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობა–საკრებულოს ფეხბურთელთა გუნდი, შ.პ.ს. „ჯიპიერის" მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, „კრისტალის" და პოლიციის ხობის რაიონული სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდები.

B ჯგუფში ასპარეზობდნენ საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის", საფეხბურთო სკოლის, სახანძრო-სამაშველო სამსახურისა და ბანკ „კონსტანტას" ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩები საინტერესოდ გაიმართა, გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწყვილდნენ:

გამგეობა-საკრებულოსგან შემდგარი გუნდი პირველ ნახევარფინალურ წყვილში დაუპირისპირდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის ფეხბურთელთა გუნდს.

მატჩი დაძაბულად წარიმართა იგი სახანძრო-სამაშველო სამსახურის გუნდის გამარჯვებით 3:1 დამთავრდა და ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალური მატჩი საფეხბურთო სკოლისა და შ.პ.ს. „ჯიპიერის" ფეხბურთელთა შორის ასევე დაძაბულად წარიმართა და შ.პ.ს. „ჯიპიერის" ფეხბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა.

4 ოქტომბერს ახალ ხიბულაში რამაზ კიტიას სახელობის სტადიონზე მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი გაიმართა.

მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ნახევარფინალში დამარცხებული გამგეობისა და საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელებს შორის გაიმართა, რომელიც საფეხბურთო სკოლის აშკარა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 4:1 დამთავრდა. ამრიგად მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი (სკოლის დირექტორი ზურაბ ლატარია, მწვრთნელი ფრიდონ გოცირიძე).

ფინალურ მატჩში შ.პ.ს. „ჯიპიერის" და სახნაძრო-სამაშველო სამსახურის ფეხბურთელთა შორის დაძაბულ ორთაბრძოლაში წარიმართა, ყველა ელოდა შ.პ.ს. „ჯიპიერის" გუნდის მოგებას, თუმცა მეხანძრეებმა და მაშველებმა ყველაფერი იღონეს და მატჩიც თავიანთ სასარგებლოდ, ანგარიშით 2:0 დაამთავრეს. მეორე ადგილზე გავიდა შ.პ.ს. „ჯიპიერის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც დაჯილდოვდა მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით (დირექტორი ელიზბარ გუნია, მწვრთნელი გია მეფიშვილი).

რამაზ კიტიას სახელობის თასის ღირსეული გამარჯვებული გახდა სახანძრო-სამაშველო სამსახურის ფეხბურთელთა გუნდი (სამსახურის უფროსი გოჩა არაჩემია), რომელთაც რამაზ კიტიას სახელობის თასი და სიგელი გადაეცათ.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისათვის:

საუკეთესო მეკარე–გოგა ლეფსაია (შ.პ.ს. „ჯიპიერი") გახდა;

საუკეთესო მცველებად აღიარეს ზურაბ ლატარია (საფეხბურთო სკოლა);

საუკეთესო ნახევარმცველი გახდა ზვიად ბუკია (სახანძრო-სამაშველო სამსახური);

საუკეთესო თავდამსხმელი გიორგი ქუჩულორია (გამგეობა-საკრებულო) გახდა.

12 გატანილი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული ირაკლი შანიძემ–შ.პ.ს. („ჯიპიერი") მოიპოვა.

საუკეთესო ფეხბურთელად ლექსო ლეფსაია (შ.პ.ს. „ჯიპიერი") აღიარეს.

პრიზიორები, გამარჯვებულები და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები დაჯილდოეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებლის მოადგილეებმა ვარაზ გაბედავამ, მახარე ჩოკორაიამ, პოლიციის უფროსმა დავით დარასელიამ, გამგებლის წარმომადგენელმა ახალ ხიბულაში რინულ ადამიამ და რამაზ კიტიას დამ ეკა კიტიამ.

დაჯილდოებისას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ახალგაზრდა პოლიციელის რამაზ კიტიას ხსოვნას. შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საკრებულოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართეს და აღნიშნეს, რომ ეს შეჯიბრება ყოველწლიურად გაიმართება და ამით კიდევ ერთხელ მიაგებენ პატივს ქვეყნისათვის თავდადებულ რამაზ კიტიას ნათელ ხსოვნას (აღსანიშნავია, რომ თამაშებში მონაწილეობენ ბატონი ედიშერ ჯობავა და ბატონი დავით დარასელია, რომლებიც თავიანთ გუნდებში განსაკუთრებული აქტიურობებით გამოირჩეოდნენ.

იმედია, მომავალ წელს მუნიციპალიტეტებში არსებული ყველა წარმოება დაწესებულებების გუნდი შეუერთდება ამ ღონისძიებას და შეჯიბრება უფრო მასშტაბური გახდება.

შეჯიბრება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (უფროსი როზეტა შულაია)

ლევან ლემონჯავა.

მ ე დ ი ც ი ნ ა

როგორ დავიცვათ თავი გაციებისგან

შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ვირუსების, გაციებისა და გრიპების თემა მეტად აქტუალური ხდება. ბევრი ადამიანი იტანჯება გაციებითა და სხვადასხვა სახის ვირუსებისგან. უჩივიან ანგინას, სურდოს, სმენის დახშობას, ყურის დაგუბებას და ა.შ. იმისათვის, რომ გაიძლიეროთ იმუნიტეტი და ადვილად დააღწიოთ თავი გაციებას, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები, რომლებიც სახლის პირობებშიც ადვილად ჩასატარებელია:

ცხელი აბაზანა

ცხელი აბაზანა, ცხვირის ლორწოვანი გარსის სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. ქვედა კიდურების გადაცივება ზემო სასუნთქი გზების სისხლის მიმოქცევის გაუარესებას იწვევს, რაც თავის მხრივ, ზრდის დასნებოვნების შანსებს. თბილი ფეხები კი პირიქით, აძლიერებს იმუნურ დაცვას.

მარილი და ლიმონი.

1 ჩკ მარილი გახსენით ნახევარი ლიმნის წვენში და დაამატეთ 50 გრ. წყალი. ჩაიწვეთეთ ცხვირში პიპეტით. ეს ხსნარი ამცირებს ლორწოვანის შეშუპებას, Ñ კი ავიწროვებს კაპილარებს. ეს რეცეპტი სურდოს საწინააღმდეგო საშუალებად ითვლება რუმინეთში, მაგრამ ექიმები მისი გამოყენებისას სიფრთხილეს გვირჩევენ.

ნივრის რეცეპტი

დაჭყლეტილ ნიორში დასვენებული ბამბის ტამპონების მოთავსება ცხვირის ნესტოებში. მთავარია ზედმეტი არ მოგივიდეთ, რადგან დამწვრობა არ განვითარდეს.

გვირილით ინჰალაცია

ბევრი დარწმუნებულია, რომ ასეთი პროცედურა მდგომარეობას შეამსუბუქებს. ექიმები კი მიიჩნევენ, რომ ინჰალაცია უეფექტოა სურდოს დროს, მაგრამ კარგია ქვედა სასუნთქი გზების დაავადებისას. მაგ. ბრონქიტის დროს. ინჰალაციის ჩატარება სასურველი არ არის მცირეწლოვანი ბავშვების შემთხვევაში, რადგანაც მას სუნთქვის გაძნელება შესაძლოა მოყვეს.

ROGOR DAVICVATH TAVI GRIPISAGAN

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მწვავე რესპირატორული ვირუსების ეპიდემიაა. ექიმების გადმოცემით ეს გაგრძელდება შუა გაზაფხულამდე. თუმცა ამის გამო პანიკის შექმნა არ ღირს. უბრალოდ აუცილებელია ვიცოდეთ თუ როგორ მოვიქცეთ, რომ გრიპისაგან უფრო დაცულები ვიყოთ.

ვიტამინებით გამდიდრებული საკვები პროდუქტების მიღება აძლიერებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს ორგანიზმის დამცავი ფუნქციების ზრდას. ეპიდემიის დასაწყისში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვება იყოს მრავალფეროვანი და დაბალანსებული. თქვენს მენიუში უნდა შედიოდეს: ხორცი, თევზი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ხილი, წვენები. თუ თქვენ სწორად იკვებებით, არ დაგჭირდებათ დამატებით ვიტამინების მიღება.

თუ არ გსურთ ავად გახდომა, ჩაიცვით ამინდის შესაფერისად, ისე, რომ არც შეგცივდეთ და არც დაგცხეთ. ქარში და სიცივეში დაიფარეთ ყელი და ყურები, ეცადეთ ფეხი არ დაგისველდეთ და მოერიდეთ ორპირ ქარს და გაოფლიანებას.

დიდი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე და ხშირად გაანიავეთ სახლი. სეირნობისას ისუნთქეთ ცხვირით, რადგან ცხვირში გამავალი ჰაერი მეტწილად იფილტრება მტვრისა და მიკრობებისგან.

საზოგადოებრივ ადგილებში მოერიდეთ ყოველგვარ კონტაქტს დაავადებულ ადამიანებთან. საერთოდ ეპიდემიის პერიოდში მოერიდეთ ასეთ ადგილებში ყოფნას. სჯობს რამოდენიმე დღით უარი თქვათ აქტიურ სოციალურ ცხოვრებაზე, ვიდრე ავად გახდეთ.

თუ დახურულ ოფისში მუშაობთ, სადაც ერთ შენობაში თქვენთან ერთად რამოდენიმე თანამშრომელი იმყოფება, ეცადეთ თავი დაიჭიროთ ერთმანეთისაგან მინიმუმ 2 მეტრის მოშორებით.

დაიცავით ჰიგიენა - რეგულარულად და საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები საპნით ქუჩიდან დაბრუნების, საზოგადოებრივ ტრანსპორტით მგზავრობის და დაავადებულთან კონტაქტის შემდეგ. ხშირად შეახსენეთ ბავშვებს ხელების დაბანა და ასწავლეთ რომ თვალებთან და პირთან მხოლოდ სუფთა ხელები უნდა მიიტანონ.

შეძლებისდაგვარად ეცადეთ გქონდეთ სწორი ცხოვრების სტილი, რომელიც მოიცავს არამარტო ბალანსირებულ კვებას, არამედ კარგ ძილს არანაკლები 8 საათისა და ასევე ზომიერ ფიზიკურ დატვირთვას. გახსოვდეთ, რომ ფიზიკურად გადაღლა კი არ გააძლიერებს, არამედ დაასუსტებს თქვენს იმუნურ სისტემას.

თუ თქვენი ოჯახიდან ვინმე ავად გახდა, სჯობს გადაიყვანოთ ის ცალკე ოთახში და გამოუყოთ ინდივიდუალური ჭურჭელი. ავადმყოფი უნდა ატარებდეს ნიღაბს, ხშირად გაანიავეთ ბინა და ჩაატარეთ სველი წმენდა.

თუ მიუხედავად სიფრთხილისა, მაინც დაავადდით, დაისვენეთ სახლში, სვით ცხელი ჩაი - რომელიც თქვენ მოგწონთ და მოერიდეთ ორპირ ქარს. გრიპის მსუბუქი ფორმის, ან ჩვეულებრივი გაციების დროს საკმარისია მხოლოდ იწვეთ სახლში. თუ შეამჩნევთ, რომ ავადმყოფობა რთულდება, სასწრაფოდ ეწვიეთ ექიმს.

არ ღირს ექიმის დაუკითხავად მიიღოთ რეკლამირებული ანტივირუსული პრეპარატები, რომლებიც რეალურად არ იძლევიან კარგ შედეგებს მკურნალობის დროს. ისინი ხშირ შემთხვევაში განკუთვნილია მხოლოდ გრიპის და არა გაციებისათვის. გარდა ამისა უნდა გახსოვდეთ, რომ ანტივირუსული პრეპარატები მოქმედებას იწყებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ მიიღებთ დავირუსებიდან 48 საათის განმავლობაში.

თუ დაავადება არ გაგივლით 5 დღის განმავლობაში და ამჩნევთ ახალი სიმპტომების გამოჩენას, ამ შემთხვევაში საქმე ეხება დაავადების გართულებას. აუცილებელია მიმართოთ ექიმს, რათა დაგენიშნოთ სწორი მკურნალობა.

იმუნიტეტის გასამაგრებელი 5 სასმელი

ახლოვდება ზამთარი, გრიპებისა და გაციების სეზონი. იმისათვის, რომ ძლიერი ორგანიზმით შევხვდეთ ზამთარს, საჭიროა კარგად მოვამზადოთ ორგანიზმი სიცივესთან შესაგუებლად. იმუნიტეტის გაძლიერებაზე ზრუნვა კი ჯობია შემოდგომით დავიწყოთ. გთავაზობთ იმუნიტეტის გასაძლიერებელ 5 ბუნებრივ საშულებას:

1.მცენარეული ნაკრების ნაყენი თაფლთან ერთად.

ავიღოთ 1 სუფრის კოვზი თაფლი, 1 სუფრის კოვზი ასკილის გამხმარი ნაყოფი, 1 სუფრის კოვზი მოცხარის ნაყოფი გამხმარი, 1 სუფრის კოვზი ჟოლო, დავასხათ 1 ლიტრი ადუღებული წყალი, დავახუროთ თავი და გავაჩეროთ 15 წუთი. შემდეგ გადავწუროთ და ნაყენი მივიღოთ დღეში სამჯერ ჭამის წინ ნახევარი ჩაის ჭიქა.

2.სასმელი „ციმბირული ჯანმრთელობა“

ავიღოთ ნახევარი კილოგრამი გამხმარი მოცვი, 1 ჭიქა ნიგოზი და 3 ცალი მწვანე ვაშლი კანიანად დაჭრილი პატარა კუბიკებად. დავამატოთ ნახევარი კგ შაქარი და ნახევარი ლიტრი წყალი. ვხარშოთ ნელ ცეცხლზე 5 წუთი. ამის შემდეგ გადავიტანოთ ქილაში და მივიღოთ დღეში ორჯერ 1სუფრის კოვზი ჩაისთან ერთად.

3.თაფლის სასმელი ლიმონით

1 ჩაის ჭიქა გადადუღებულ თბილ წყალში ჩავასხათ 25 გრამი თაფლი. დავამატოთ ნახევარი ლიმონის წვენი და მივიღოთ დილით. ეს სასმელი კარგია გაციების და შეუძლოდ ყოფნის დროს.

4.სასმელი „შემოდგომა“

ავიღოთ გამხმარი ნაყოფი: მოცხარი (2 სუფრის კოვზი), კურაგა (1 სუფრის კოვზი), მელისა (1 ჩაის კოვზი), ფურუსულას ფოთლები გამხმარი (1 ჩაის კოვზი).ნარევს დავასხათ 1 ჭიქა ადუღებული წყალი, მივიყვანოთ ადუღებამდე და გავაჩეროთ რამოდენიმე საათი. შემდეგ გადავწუროთ და მივიღოთ 3-4 ჯერ დღეში.

5. წინა რეცეპტში მოცემულ ჩაის დავუმატოთ ექინაცეას ყვავილები.

ექინაცეა-მცენარეული სამკურნალო საშუალებაა, ხშირად გამოიყენება გაციებისა და სურდოს სამკურნალოდ.

ღვინისა და ნივრის ჯადოსნური ელექსირი

ადამიანთა ამა თუ იმ დაავადებას, მრავალი გამომწვევი მიზეზი უდევს საფუძვლად. ასევე მრავალია მათგან განკურნების გზებიც, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ არსებულ სენთან ბრძოლა დავიწყოთ არა კონკრეტული დაავადებული ორგანოს, არამედ მთლიანი ორგანიზმის გაწმენდით.

ორგანიზმის გაწმენდისა და პროფილაქტიკისათვის, მრავალი თანამედროვე, თუ ხალხური მეთოდი არსებობს. ამ მეთოდებში, უმჯობესია ჩავრთოთ რაც შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებრივი პროდუქტები.

ალბათ, ყველასათვის ცნობილია, რომ ხილი და ბოსტნეული, სხვადასხვა ვიტამინითაა გაჯერებული. მათგან ზოგიერთი, განსაკუთრებულად სასარგებლო თვისებების მატარებელია. ასეთივე მარგებელია ნიორი. ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოდევნას გთავაზობთ სწორედაც, რომ ნივრის მეშვეობით, რომელიც სუფთა წითელ ღვინოსთან შერევით, მართლაც ჯადოსნურ ელექსირს ქმნის. გთავაზობთ, აღნიშნული ელექსირის მომზადების წესს:

გამჭვირვალე ჭურჭელში ჩაყარეთ 12 კბილი ნიორი, თითოეული 4 ნაწილად გაჭრილი. დაასხით 3 ჭიქა წითელი ღვინო. მჭიდროდ დაახურეთ თავი და დადგით ფანჯარასთან, იქ, სადაც მზე ყველაზე დიდხანს უდგება. გააჩერეთ 2 კვირით. ყოველდღიურად 2-3-ჯერ შეანჯღრიეთ. ორი კვირის შემდეგ, ნაყენი გადაწურეთ გაუმჭვირვალე ჭურჭელში. ლიქიორი, ჩაის კოვზით დღეში სამჯერ 3 თვის განმავლობაში მიიღეთ. ეს ნაყენი საოცრებებს ახდენს – ორგანიზმიდან გამოაქვს მარილები, ამაღლებს შრომისუნარიანობას, ასუფთავებს სისხლს, ამაღლებს იმუნიტეტს, ამაგრებს სისხლძარღვებს, აუმჯობესებს გულის მუშაობას, აშორებს ზედმეტ ცხიმს და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. აგრეთვე, შეუცვლელია ქალური დაავადებებისა და ანთებების დროს.

უებარი საშუალება ჩიყვის სამკურნალოდ

დღევანდელ რეალობაში, სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსახლეობაში გავრცელებული დაავადებებიდან, ერთ-ერთი, რომელიც ყველაზე მაღალი პროცენტულობით გამოირჩევა, ჩიყვი და ფარისებრი ჯირკვლის სხვა პათოლოგიებია. აღნიშნულმა პათოლოგიებმა, ბოლო წლებში განსაკუთრებით იმატა, რაც უმეტესად ახალგაზრდა, შრომისუნარიან და რეპროდუქციული (შვილოსნობის) ასაკის ადამიანებს უვითარდებათ. ამ დაავადებების ერთ-ერთი მიზეზი იოდის დეფიციტია. ისე, როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში, ასევე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დროსაც, დადებით ეფექტს იძლევა ჯანმრთელი კვება, იოდშემცველი პროდუქტების მიღება. თანამედროვე მედიცინაში, უკვე მრავალი საშუალება არსებობს ამ პათოლოგიებთან საბრძოლველად.

ამჯერად, გთავაზობთ ძალიან ეფექტურ და უებარ რეცეპტს, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების სამკურნალოდ:

აურიეთ 3 - ლიტრიან ქილაში, თითო ჭიქა სტაფილოს, ჭარხლის, შავი ბოლოკის წვენები, 1 ჭიქა შემთბარი თაფლი და 1ლ. არაყი. მიღებული მიქსტურა კარგად მოურიეთ, მჭიდროდ დაახურეთ თავზე და დადგით ბნელ ადგილას 2 კვირის განმავლობაში. შემდეგ, ისე რომ არ შეანჯღრიოთ, ფრთხილად გადმოასხით ღია ფენა. ნაყენი მიიღეთ 30-30 გრ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ელექსირის მოქმედების საოცარ შედეგს, ძალიან მალე შეიგრძნობთ.

ს ე ნ ე ბ ი თ ი ნ ა

ნათია ცატავა, ნინო და კოკა კაკულიები

იმ ტრაგიკული დღიდან წელიწადი გასულა.

ხამისქურში ნათია ცატავას და კოკა კაკულიას, მცირეწლოვან შვილ ნინოსთან ერთად სიყვარულით სავსე ოჯახის ტრაგედია მოუშუშებელი და გაუნელებელი ტკივილია. ამის დასტური იყო 21 ოქტომბერს საფლავზე შეკრებილთა სევდა და ცრემლები... ამასთან იყო დიდი სიამაყეც, სწორედ ამქვეყნად დარჩენილი დიდი სიყვარულის უკვდავების გამო.

ნათელი და დიდება მათ უმანკო სულებს...

რაულ მესხია

ძნელია ილაპარაკო წარსულზე იმ ადამიანზე, რომელიც შენი სულის ნაწილია.

გვიჭირს ძმაო რაულ უშენობა, ყოველ შენს გახსენებას თან ახლავს მონატრება, ტკივილი, სევდა...

ახალგაზრდობაში დაქვრივებულმა დედამ სამი ვაჟიშვილი გამოგვზარდა. დედას, რომელიც არ დაცემულა, არ გატეხილა, ბედისწერამ ახალი განსაცდელი მოუვლინა–შენი ამ ქვეყნიდან მოულოდნელი წასვლა და გაუსაძლისი ტანჯვა არგუნა, სიბერეც გაუმწარდა.

რაულ! შენ შენი ძმების ლერი და ელდარის გაუყუჩებელი ტკივილი ხარ, შენი ძმისშვილების ნათია და ლევანის აუნაზღაურებელი დანაკლისი ხარ. პედაგოგ მეუღლესთან ორ ვაჟს ზრდიდი, მათი სიხარულითა და წარმატებებით ხარობდი. განგებამ არ დაგინდო, ავტოავარიამ გიმსხვერპლა და სამუდამო სევდა და ტკივილი გვარგუნა.

ძმაო რაულ, ჩვენი ოჯახი გილოცავს იმ ბედნიერებას, რომელიც შენს ოჯახში სუფევს–ძეობას, პატარა შვილიშვილს, რომელსაც რაულიკო ჰქვია.

გჯეროდეს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ძმები ლერი და ელდარ მესხიები.

ლამარა კვარაცხელია

მოულოდნელი, თავზარდამცემი იყო ჩვენო ძვირფასო მეგობარო ლამარა, ჯერ შენი ავადმყოფობა, შემდეგ გარდაცვალების ამბავი.

წახვედი და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე შენს კოლექტივს, მოსწავლეებს, რომლებსაც ასე ესათუთებოდი. ბევრმა, ძალიან ბევრმა დააფასა შენი ღვაწლი, მოთქმით დაგიტირეს...

ადამიანის გამორჩეულ თვისებებს დიდი ტკივილი უფრო გვანახებს და ვწერთ დღეს: საამოდმოუბარი, სიტყვაუხვი, უღალატო მეგობარი, საუცხოო დედა, მეუღლე, მოძღვარი.

ეს ჩამონათვალი სრულად მაინც ვერ ასახავს შენს პიროვნულ თვისებებს. გულს მეტის თქმა უნდა, მაგრამ სიჩუმეში უფრო ეძებ იმას, რისი თქმაც ვერ მოახერხე–სახელს უძებნი და გონება ერთ სიტყვას გკარნახობს–მონატრება, მონატრება იმისა, რომ გისმინოთ.

რამდენიმე ათეული წელი ერთგულად ემსახურებოდი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას–ძალას, ენერგიას არ იშურებდი, საგნის ღრმად მცოდნემ მრავალ „გამოცდას“ გაუძელი.

ოჯახის ღირსებას შენს უპირველეს ამოცანად თვლიდი, ამაყი იყავი შენი შვილებით, რძლით, შვილიშვილით.

ლამარა, ჩვენო მეგობარო, შენ დატოვე ის, რასაც სილამაზის გადარჩენა ჰქვია: სახელი, შვილები, შვილიშვილები.

გადის ცრემლიანი მეორმოცე დღე... ისღა დაგვრჩენია, გითხრათ: ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული!

სსპ. ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ დიანა გერგაიას ტყუპისცალი დის

ვაკონა გერგაია–ძარიას

გარდაცვალების გამო.

პატრიარქის განჩინება–რატომ არ შეიძლება უსაგღვრო გლოვა და შავი სამოსის ტარება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის განჩინება მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად

ყოველი ოჯახი, მძიმედ განიცდის უახლოესი წევრის გარდაცვალებას და გლოვით გამოხატავს თავის წუხილს, მაგრამ ბოლო დროს ეს დამახინჯებული ფორმით ვლინდება.

ხშირია შემთხვევა, როცა ახლობლები მრავალი წლის ან მთელი სიცოცხლის მანძილზე არ იხდიან შავ სამოსს და ჩამოშორებულნი არიან ყოველდღიურ ცხოვრებას.

უსაზღვრო გლოვა, გოდება, ტირილი მეტყველებს ადამიანის ურწმუნოებაზე; იმაზე, რომ მას არ სწამს ღმერთი, არ სწამს სულის უკვდავება და

თვლის, რომ გარდაცვლილი სამუდამოდ დაკარგულია მისთვის; ამით კი ჭირისუფლის უდიდეს ცოდვას იღებს თავის თავზე, რადგან იგი არასწორი ქცევით მეტად ამძიმებს გარდაცვლილის უკვდავ სულს, ამძიმებს თავისი ოჯახის ცხოვრებას.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანის გარდაცვალება არ ნიშნავს მის მოსპობას. ადამიანის სული ცოცხალია, უკვდავია და იგი მარადიულ ცხოვრებაში იმკვიდრებს იმ ადგილს, რასაც თავისი სარწმუნოებითა და ქცევით იმსახურებს.

მიწიერი ჩვენი ცხოვრება არის მომზადება მარადიულობისთვის. იგია თითოეული ჩვენთაგანისთვის უდიდესი გამოცდა.

ბედნიერია, ვინც მართლმადიდებელი სარწმუნოებით, სიყვარულითა და კეთილი საქმით წარდგება ამ გარდაუვალი დღის წინაშე და მართალთა სავანის მკვიდრი გახდება.

ხშირია შემთხვევა, როცა კეთილი ადამიანი ადრე ტოვებს ამ წუთისოფელს, ანდა მცირე ასაკისა შეერთვის მარადიულობას. ამაშიც ჩვენ უნდა დავინახოთ განგება უფლისა: ღმერთს ისინი ნაკლებად ცოდვილნი მიჰყავს თავისთან.

ყოველივე ამის გამო განვაჩინებთ:

1. ავადმყოფს აუცილებლად უნდა მოვუყვანოთ მოძღვარი აღსარებისა და ზიარებისთვის, რადგან წმიდა ზიარება არის საკურნებელი სულისა და ხორცისა და ხშირია შემთხვევა, როცა წმიდა ზიარებით სასწაულებრივად განკურნებულა ადამიანი; ასევე მეტად კარგია ავადმყოფისთვის ზეთის კურთხევა.

2. გარდაცვალების შემთხვევაში პირველივე დღიდან დასაფლავებამდე მიცვალებულის თავთან ჩაუქრობლად უნდა ენთოს სანთელი და კანდელი, უნდა იდგეს ხატი, ხორბალი, წყალი, ღვინო, მარილი, და დღედაღამ ახლობლების მიერ უნდა იკითხებოდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.

3. ფსალმუნის კითხვა (თუნდაც დღეს მხოლოდ ერთი კანონის) სასურველია, დასაფლავების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მაინც გაგრძელდეს.

4. გარდაცვლილს გულზე უნდა ეკიდოს ნაკურთხი ჯვარი.

5. თუ მიცვალებულის ახლობლები მოუნათლავია, კარგია თუ ისინი გარდაცვლილის დასაფლავებამდე მოინათლებიან; თუ მიცვალებულია მოუნათლავი, მისი მონათვლა არ შეიძლება.

6. საერო პანაშვიდების დროს სასურველია საერო სიმღერებისა და მუსიკის ნაცვლად შესრულდეს საეკლესიო საგალობლები.

7. მიცვალებული უნდა დაიკრძალოს გარდაცვალებიდან 3-5 დღის განმავლობაში.

8. მიცვალებულს არ უნდა ჩაატანონ ზედმეტი ტანსაცმელი ან სხვა რაიმე ნივთები.

9. დასაფლავების დღეს, დილით, ან წინა ღამეს მოძღვარმა უნდა აუგოს წესი მიცვალებულს და უკურთხოს საფლავის მიწა, ღვინო, პური, მარილი, წყალი.

10. დასაფლავების დღიდანვე საფლავზე უნდა დაიდგას მღვდლის მიერ ნაკურთხი დროებითი ჯვარი (ხის, ლითონის ან სხვა მასალის), რადგან უჯვრო საფლავს, წმიდა მამების სწავლებით, ეშმაკი ეპატრონება.

11. გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ მისი სულის მოსახსენებლად მზადდება მოკრძალებული ქელეხი მხოლოდ უახლოესი ნათესავებისა და ახლობლებისთვის. ქელეხი არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს.

თუ ადამიანი მარხვის დროს გარდაიცვალა, საჭმელი მზადდება მხოლოდ სამარხვო.

12. თუ ადამიანი გარდაიცვალა ხსნილში, კარგია, თუ მისი ახლობლები გარდაცვლილის დასაფლავებამდე შეინახავენ მარხვას.

13. გარდაცვალებიდან 39-ე დღეს მოძღვარმა უნდა შეასრულოს პანაშვიდი, ხოლო მეორმოცე დღეს და წლისთავზე მიცვალებულისთვის უნდა დამზადდეს საკურთხი და ეკლესიაში შესრულდეს შეკვეთილი წირვა და პანაშვიდი.

14. მიცვალებულის ორმოცი უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად მეორმოცე დღეს, ან წინა დღეს, რადგან მეორმოცე დღეს ხდება გარდაცვლილის სულის დამკვიდრება მისთვის განკუთვნილ სავანეში.

წლისთავიც უნდა გადაიხადონ გარდაცვალებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ. ორივე შემთხვევაში მიცვალებულის სული საოხად გამზადებული საჭმელი მარხვაში უნდა იყოს სამარხვო, ხსნილში - სახსნილო.

15. ყოველ წელიწადს მიცვალებულთა ხსენების დღეს (მისი ახლობლები) უნდა ამზადებდნენ საკურთხს, რომელსაც დილით, წირვის დაწყების წინ, მიიტანენ ტაძარში პანაშვიდისთვის.

16. მეტად კარგია თუ მიცვალებულის ახლობლები გააკეთებენ საკურთხს და ეკლესიაში მოძღვარს შეასრულებინებენ პანაშვიდს გარდაცვლილის დაბადების დღეს, გარდაცვალებისა და ანგელოზის დღეებში.

საკურთხი: ზეთი, ღვინო, პური, წანდილი, ან კოლიო (სხვა საჭმელიც შეიძლება).

17. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულისათვის, თუ მისი ახლობლები ყოველ შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ესწრებიან წირვა-ლოცვას, ეზიარებიან და სეფისკვერს აგზავნიან საკურთხეველში გარდაცვლილის სულის მოსახსენიებლად.

18. ქრისტიანის საფლავი არ უნდა იყოს მდიდრული. მიცვალებულის სულისთვის უკეთესია, თუ თანხა გაჭირვებულთ დაურიგდებათ.

19. მოძღვრის მიერ საფლავის კურთხევა კარგია მიცვალებულთა მოხსენების დღეებში.

20. ორმოცი დღის შემდეგ გარდაცვლილის ტანსაცმელი და ნივთები უნდა დაურიგდეთ გაჭირვებულთ.

21. თვითმკვლელობით აღსრულებულის და მოუნათლავისათვის საეკლესიო წესების შესრულება საეკლესიო კანონების თანახმად აკრძალულია. მათ სახელზე მხოლოდ მოწყალება შეიძლება გაიცეს. საერთოდ მიცვალებულის სახელზე მოწყალების გაცემა მეტად კარგია.

22. თუ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი მოიკლავს თავს, მისთვის საეკლესიო კანონის თანახმად, საკლესიო წესების შესრულება ნებადართულია.

23. გარდაცვლილის ახლობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, ატარონ შავი ტანსაცმელი 40 დღე ან არაუმეტეს 1 წელი. ერთი წლის შემდეგ შავი სამოსი აუცილებლად უნდა გაიხადოს ყველამ. შვილის, მეუღლის, ან მეტად ახლობელი ადამიანის სიყვარული უნდა გამოიხატოს არა შავი სამოსის ტარებით, არამედ ლოცვით და მიცვალებულის სულისთვის ღვთის სათნო კეთილ საქმეთა აღსრულებით.

აღამიანი დროში

სულიერი მწვერვალის ძიებაში

ამას წინათ მარტვილში ჩატარდა საერო სახალხო დღესასწაული „ჭყონდიდელობა“, რომელსაც ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მარტვილის მოსახლეობამ ჩვენს დელეგაციას ღირსეული მასპინძლობა გაუწია, ეს სრულიად საქართველოს ზეიმი იყო. დავით აღმაშენებელმა და მისმა აღმზრდელმა გიორგი ჭყონდიდელმა, ქრისტიანობის, სულიერების ირგვლივ გააერთიანეს ქვეყანა.

მარტვილში „ჭყონდიდელობაზე“ ბრძანა: „საქართველო, გიორგი ჭყონდიდელმა გადაარჩინა. ამ ბრძენმა მოძღვარმა აღზარდა მეფეთ-მეფე, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის მომავალი. მათი ურთიერთობა უდიდესი მაგალითია საღვთო-საერო საქმიანობის შეთანწყობისა, რამეთუ ქვეყანა ერთია, როგორც უფალი.“

სამეცნიერო კონფერენციაზე, შთამბეჭდავი ყოვლისმომცველი და შინაარსიანი იყო ბატონ ნუგზარ ნადარაიას გამოსვლა. თვით გამომსვლელები, მოწვეული სტუმრები, აღნიშნავდნენ „ფაზისის“ აკადემიის და მისი თავკაცის ენერგიულ, მიზანსწრაფულ მუშაობას ერის სულიერი აღორძინების გზაზე. ყოველივე ეს ჩვენში სიხარულის გრძნობას იწვევდა, რამეთუ ჩვენთვის, თითოეული ხობელისთვის, ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელიც მან გასწია ხობისა და ხობელებისთვის 12 წლის მანძილზე. სიყვარული და სიკეთე თესა მოსახლეობაში, ააშენა და დაამშვენა კოლხეთის გული ხობი. მის სახელთანაა დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო,კულტურული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სამრეწველო, სამეურნეო მშენებლობის ბუმი.

პოეტი-აკადემიკოსი ალიო მირცხულავა-მაშაშვილის და საქართველოს სახალხო არტისტების პიერ და ბადრი კობახიძეების სახლ-მუზეუმი. მოსახლეობას აჩუქა სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“, მარტო ის რად ღირს, მისი მერობის პერიოდში ცოტნეს ძეგლის დადგმა ფოთში-სამეგრელოს მოედანზე. ყველა ხობელი გრძნობდა და დღესაც გრძნობს, თქვენს ადამიანურ ყურადღებას. ამისათვის დიდი მადლობა ბატონო ნუგზარ. მინდა ყველას ვაუწყო, რომ მომავალი წლის თებერვალში ბატონ ნუგზარს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. გამოვხატავ რა, თითეული ხობელის სურვილს, მინდა ჩვენს სახელოვან მამულიშვილს ვუსურვო ჯანის სიმრთელე, მისი სათაყვანებელი საქმის გაბრწყინება, მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიდარბაისლით კიდევ მრავალი საერო საქმის დაგვირგვინება. მჯერა ზურგის ქარს არ მოაკლებს უფალი მის ჩაფიქრებულ ეროვნულ საქმისა და იდეებს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და შემწე, იმ გზაზე, რომლის ტაძრისკენაც მიმავალ აღმართს მძიმე ჯვარის ზიდვით მიუყვებით.

საშა არჩაია,
პედაგოგი, საერო აკადემია „ფაზისის“ ნამდვილი წევრი.

ბრუცელოზით აღამიანიც ავადდება

სოფელში ბრუცელოზი გაჩნდა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ის შევაჩეროთ.

როგორ ინფიცირდება ადამიანი ბრუცელოზით?

–ადამიანი ბრუცელოზით ინფიცირდება დაავადებულ ცხოველთან, ცხოველის შარდთან, სისხლთან, ფეკალურ მასასთან, აბორტულ მასალასთან კონტაქტით. ინფიცირებული თერმულად დამუშავებული (აუდუღარი, მოუხარშავი) ცხოველური პროდუქტების გამოყენებით (რძე, ყველი, არაჟანი, ხაჭო, კარაქი, ხორცი).

ბრუცელოზით დაავადებული ადამიანისათვის დამახასიათებელია შემდეგი კლინიკური სიმპტომები, ცხელება, ზოგადი სისუსტე, ღამით ოფლიანობა, სახსრების, კუნთების და თავის ტკივილი, უმადობა, წონაში დაკლება, ამ შემთხვევაში ავადმყოფმა უნდა მიმართოს ექიმს.

როგორ დავიცვათ თავი დაავადებისგან!

–ნუ მიირთმევთ ჭყინტ ყველს! გააჩერეთ ყველი მარილწყალში მინიმუმ 60 დღე, ნუ დალევთ აუდუღარ რძეს! ნუ მიიღებთ აუდუღარი რძით დამზადებულ რძის პროდუქტებს.

ბრუცელოზისაგან საუკეთესო დაცვაა გყავდეთ ჯანმრთელი ცხოველი!

ავადმყოფი ცხოველის გამოვლენისას დაუყონებლივ განაცალკავეთ იგი ჯანმრთელისაგან და მიმართეთ ვეტერინარს.

ცხოველი მშობიარობისას იყოლიეთ იზოლირებულად. ცხოველების მოვლისას გამოიყენეთ რეზინის ხელთათმანი, ხალათი, წინსაფარი, ჩექმა, ნიღაბი. ჩაუტარეთ თქვენს შინაურ ცხოველებს ვაქცინაცია. წელიწადში ერთხელ ცხოველს უნდა ჩაუტარდეს ლაბორატორიული გამოკვლევები ბრუცელოზზე.

ბრუცელოზით დაავადებისგან სათანადო მკურნალობის შემდგომ ადამიანი იკურნება, დროული მკურნალობის შემთხვევაში დაავადება არ გადადის ქრონიკულ სტადიაში. არ იწვევს ინვალიდობასა და უშვილობას.

ბრუცელოზის პროფილაქტიკა მდგომარეობს პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის ცხოველებს შორის ინფექციის ლიკვიდაციისა და გარემოს გაუსნებოვნებაში, იმ ადგილებში, სადაც გვხვდება ბრუცელოზით დაავადებული ცხოველები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცხოველური წარმოშობის ნედლეულსა და პროდუქტების გაუსნებოვნებას.

ძროხის ან თხის რძის გამოყენება შეიძლება მხოლოდ წამოდუღების ან პასტერილიზაციის შემდეგ. რძის ყველა პროდუქტი (მაწონი, ხაჭო, კეფირი, ნაღები, ნაღების კარაქი) უნდა მზადდებოდეს პასტერიზებულ რძეზე. ცხოველებში ბრუცელოზის გავრცელებასთან ბრძოლის საკითხებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპეციალიური ვაქცინებით პროფილაქტიკურ აცრებს. აუცილებელია აგრეთვე იმ ადამინების ვაქცინაცია და რევაქცინაცია, რომლებიც იმყოფებიან დასნებოვნების საშიშროების ქვეშ.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი-პროფილაქტიკოსი.

მოლოცვები

ნანა კემულარიასა და მანუჩარ სამუშიას!

ჩვენო ლამაზთვალებავ, გილოცავთ ბედნიერებას. ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს, მზეგრძელი და დღეგრძელი ყოფილიყავით. გვენანება ჩვენგან შენი წასვლა, მაგრამ ვხარობთ იმით, რომ ბედნიერი ხარ. სიყვარულში გაგიმართლა!

გილოცავთ, გაოცნით, გეფერებით! ლამაზ დღეთა სიმრავლე არ დაგლეოდეთ!

რედაქციელები!

ანი ჯვირჯველიას!

ჩვენო საყვარელო მამიდაშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს და პირველკლასელობას.

გაიზარდე დღეგრძელი და მზეგრძელი, ლამაზი და ბედნიერი გოგონა.

ღმერთმა უთვალავი სიკეთე გიბოძოს და გაგაძლიეროს!

ნინი და გიორგი ჯვარაცხელიები.

გოგი (გიორგი) ბუკიას!

ჩვენო უსაყვარლესო ძამიკო! გილოცავთ დაბადების დღეს. იყავი ჯანმრთელი, დღეგრძელი და მზეგრძელი. შენ, პირველკლასელი, უკვე 6 წლის გახდი, გვახარებ და გვაოცებ შენი ყოველდღიურობით. ძალიან ძალიან გვიყვარხარ.

გაოცნით და გეფერებით დედიკოსთან, მამიკოსთან და ბებოსთან ერთად.

ბატა (ანასტასია) და ნუცა (მარიამი) ბუკიები.

საინტერესო ფაქტები კბილებზე

ლეგენდის თანახმად ბუდას 40 კბილი ჰქონდა, ხოლო პირველ ადამიანს –ადამს კი 30 კბილი, აქედან მომდინარეობს თვეში დღეების რაოდენობა.

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ ადამიანს კბილები ორჯერ ამოსდის: პირველად 20 სარძევე კბილი, ხოლო მათი მოცვლის შემდგომ–32 . ცნობისათვის, სახელწოდება „სარძევე კბილები“ ეკუთვნის ჰიპოკრატეს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ბავშვის კბილების ფორმირება დედის რძისგან ხდებოდა.

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კაკაოს ფხვნილი, რომელიც შოკოლადის შემადგენლობაში შედის, შეიცავს კარიესის წარმოქმნის შემაფერხებელ ნივთიერებას.

პირველი ელექტრო კბილის ჯაგრისი შვეიცარიაში მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დააპატენტეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალ გამოგონებას ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, საბოლოოდ საზოგადოებაში პოპულარობა მაინც მოიპოვა. ამჟამად მთელ მსოფლიოში მოსახლეობის 12% ელექტრო კბილის ჯაგრისს იყენებს.

ყველაზე ძვირადღირებულ კბილად ისააკ ნიუტონის კბილი ითვლებოდა, რომელიც 1816 წელს 3,300 დოლარად იქნა გაყიდული. მისი მყიდველი ერთ-ერთი არისტოკრატი გახლდათ, რომელმაც შეძენილი კბილი საკუთარ ბეჭედში ჩასვა.

საოცარია, ლოკოკინას 25000 კბილი აქვს.

ისტორიას ახსოვს ასეთი ფაქტიც, როდესაც ერთმა შინამოსამსახურე ქალბატონმა კბილების სითეთრის საიდუმლო დიუმას შვილს გაუმხილა: „უნდა იცრუო უფრო მეტად, რამეთუ ამის საშუალებით კბილები საოცრად თეთრდება“.

ყველაზე სახიფათო სპორტი კბილებისათვის – ჰოკეია. 68 პროცენტს პროფესიონალი მოთამაშეებიდან ერთი კბილი მაინც აქვს დაკარგული ყინულის მოედანზე თამაშის დროს.

ძველ რომში პატრიციას სპეციალურად კბილების გასუფთავებისათვის ცალკე მონები ჰყავდა.

კბილი – ადამიანის ორგანიზმის ერთადერთი ნაწილია, რომელსაც თვითაღდგენა არ შეუძლია.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.